პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 კვირა 25 დეკემბერი № 299 (17039) ფასი 2 კაპ.

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება 1977 წლის 28 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია დაწესებულებებში წარმოებს 25, 26, 27 დეკემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები № 6, № 11, ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

28 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1977 წლის 28 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

# ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე

კითხვა: როგორ გგონიათ, ახლა, 1977 წლის მიწურულში, რა ახასიათებს ყველაზე მეტად ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას, მის მეცადინეობას მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისათვის?

პასუხი. სულ ცოტა ხნის წინათ, საიუბილეო ზეიმობის დღეებში მე საკმაოდ დაწვრილებით გავაშუქე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი. ამიტომ, ახლა მხოლოდ ზოგიერთ მომენტს შევეხები.

უწინარეს ყოვლისა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულობამ და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებამ შესანიშნავად ცხადყვეს საბჭოთა კავშირის მაღალი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, მისი მზარდი გავლენა მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე. მსოფლიო კვლავ დარწმუნდა, რომ ოქტომბრით შობილი სახელმწიფო თანამიმდევრულად, პრინციპულად და დიდი წარმატებით ახორციელებს საერთაშორისო ასპარეზზე ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, პატიოსან და სამართლიან პოლიტიკას, ერთი სიტყვით, ისეთ პოლიტიკას, როგორსაც უნდა ახორციელებდეს სოციალიზმის ქვეყანა — ლენინის სამშობლო.

ახალ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებიც ჩვენ იუბილეს დღეებში გამოვიჩინეთ, ფართოდ და, საერთოდ, დადებითად გამოეხმაურნენ. ზოგიერთი მათგანი უკვე მკვიდრდება პრაქტიკაში: მათ განიხილავენ სხვადასხვა ფორუმზე, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ბელგრადის შეხვედრაზე.

საბჭოთა კავშირის მეცადინეობა კვლავ იმას მოხმარდება, რომ მთლიანად აღმოიფხვრას ატომური ომის საფრთხე, დამკვიდრდეს საერთაშორისო ურთიერთობაში მომხდარი სასიკეთო ცვლილებები, გაღრმავდეს დაძაბულობის შენელება, გაფართოვდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ჩემი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, და კანცლერ შმიდტთან მოლაპარაკება, რომლებიც ამ ცოტა ხანში გაიმართება, ხელს შეუწყობს არა მარტო საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას მთელ რიგ დარგებში, არამედ ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უფრო ფართო ინტერესებსაც.

სულ რამდენიმე დღის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ფრიად დიდმნიშვნელოვანი და უაღრესად დროული დოკუმენტი — დეკლარაცია, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და განმტკიცების საჭიროებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ, ჩინეთისა და ალბანეთის გარდა, ხმა მისცა ამ დეკლარაციას. ეს მსოფლიო აზრის კარგი ხარკეა. იგი სწორად ასახავს ხალხთა მისწრაფებას დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისადმი. ანდა, რამდენი სხვა კონკრეტული და, ხაზს ვუსვამ, განსახორციელებლად რეალური წინადადება წამოაყენა საბჭოთა კავშირმა, კერძოდ, განიარაღების დარგში. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დინამიკურობასა და შედეგიანობას.

კითხვა: რა აზრისა ბრძანდებით განიარაღების საკითხთა გადაწყვეტის მიმდინარეობაზე?

პასუხი. საგარეო-პოლიტიკური მუშაობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი უბანი, როგორიც განიარაღებაა, ყოველთვის ყურადღების ცენტრში აქვთ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს. ამ თვალსაზრისით, გასაგები მიზეზების გამო, ამჟამად დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ჩვენ მზად ვართ ამ მოლაპარაკების წარმატებით დაგვირგვინებისათვის. საამისო შესაძლებლობანი, ჩვენი აზრით, არის. მე იმასაც კი ვიტყოდი, რომ ეს შესაძლებლობანი არცთუ ცუდია. თუ ზოგიერთი განცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამერიკის მხარეც გარკვეულ ოპტიმიზმს გამოთქვამს. კარგი იქნებოდა, ეს ოპტიმიზმი პრაქტიკული საქმეებითაც დაედასტურებინა. მე მგონია, რომ ახალი შეთანხმება დიდი და კარგი საქმე იქნება როგორც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ისე საყოველთაო მშვიდობისთვისაც.

ახლანდელი მოლაპარაკება განიარაღების დარგში მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს — ყველა ატომური გამოცდის შეწყვეტითა და ომის წარმოების ქიმიური საშუალებების აკრძალვით დაწყებული, და ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების განმტკიცებით და ინდოეთის ოკეანის ზონაში სამხედრო საქმიანობის შეკვეცით დამთავრებული. ამ საკითხთა დაყენების ინიციატივა მნიშვნელოვანწილად, რომ არა ვთქვათ — გადამწყვეტწილად ეკუთვნის საბჭოთა კავშირს. ახლა მთავარია, განიარაღების შესახებ მოლაპარაკებიდან გადავიდეთ რეალურ ღონისძიებებზე, რაც განიარაღების დაწყებას მოასწავებს. ესა, და მხოლოდ ეს, შეესაბამება ნამდვილად ხალხთა მისწრაფებას, რომლებსაც მტკიცე მშვიდობა სწადიათ და გადაჭრით გმობენ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის გაძლიერებისათვის მიმართულ მოქმედებას, გმობენ გამალებულ შეიარაღებას.

ასეთი მოქმედება კი შეიმჩნევა. აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს, მაგალითად, გამალებული შეიარაღების გაძლიერებულ დაჩქარებას ნატოს სამხედრო ბლოკში. ეს კაცობრიობისათვის ფრიად საშიში ტენდენციაა. იგი კიდევ უფრო საშიში ხდება იმის გამო, რომ ქვეყნად ომის წარმოების ახალ-ახალი ბარბაროსული საშუალებები ჩნდება.

ავიღოთ, მაგალითად, ნეიტრონული ბომბი. ახლა მსოფლიოს დაჟინებით ახვევენ თავს ამ მხეცურ იარაღს, რომელიც განსაკუთრებით საშიშია იმიტომ, რომ მას „ტაქტიკურ", ლამის „უწყინარ" იარაღად ასაღებენ და ამით ცდილობენ წაშალონ ზღვარი ჩვეულებრივ და ატომურ იარაღს შორის, ატომურ ომზე გადასვლა შეუმჩნეველი გახადონ ხალხებისათვის. ეს კი მტკნარი სიყალბეა, ხალხთა მოტყუებაა.

ნეიტრონულ ბომბს გაძლიერებულ რეკომენდაციას უწევენ დასავლეთ ევროპაში განლაგებისათვის. რას იზამ, ეტყობა ისინი, ვინც ევროპიდან შორს ცხოვრობს, ამას იოლად და მარტივად უყურებენ. მაგრამ ევროპელები, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ალბათ სხვა აზრისანი იქნებიან. საეჭვოა, მათთვის ხელსაყრელი იყოს, რომ ამ საერთო ჭერს, რომელიც ისედაც ჩაზნიქა იარაღის უდიდესმა სიმძიმემ, დამატებითი საშიში ტვირთი დააწვეს.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს ნეიტრონული ბომბის შექმნის წინააღმდეგ. ჩვენ გვესმის და მთლიანად ვუჭერთ მხარს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მილიონობით ადამიანის ხმას, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ამ ბომბს დასავლეთში შექმნიან — თან შექმნიან ჩვენს წინააღმდეგ, რასაც აღარც კი მალავენ, — მაშინ იქ კარგად უნდა ესმოდეთ ისიც, რომ სსრ კავშირი პასიურ მეთვალყურედ არ დარჩება. ჩვენ იძულებულს გაგვხდიან პასუხი გავცეთ ამ გამოწვევას, რათა უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხის, მისი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროება. საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ეს კიდევ უფრო საშიშ საფეხურზე აიყვანს გამალებულ შეიარაღებას...

ჩვენ ეს არ გვინდა და ამიტომაც ვთავაზობთ შევთანხმდეთ, რომ ორივე მხარე უარს იტყვის ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე, რათა ვიხსნათ მსოფლიო ხალხის მასობრივი მოსპობის ამ ახალი იარაღისაგან. ასეთია ჩვენი გულწრფელი სურვილი, ასეთ წინადადებას ვაძლევთ ჩვენ დასავლეთის სახელმწიფოებს.

კითხვა. რა შეიძლება ითქვას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ახლანდელ განვითარებაზე?

პასუხი. ახლო აღმოსავლეთის საქმეები — ეს მწვავე პრობლემაა. ამ ბოლო ხანს ახლო აღმოსავლეთში ცვლილებები მოხდა. თანაც, სამწუხაროდ, ეს ნეგატიური ცვლილებებია. და მოხდა მაშინ, როცა, თითქოსდა საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა და ჟენევის საზავო კონფერენციაც უნდა მოწვეულიყო, საამისოდ კი უკვე ბევრი რამ იყო გაკეთებული, კერძოდ, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, — როგორც კონფერენციის თანათავმჯდომარეების გაერთიანებული მეცადინეობის წყალობით. დღეს კი ვითარება მკვეთრად გართულდა. ჟენევის კონფერენციის მოწვევა და საყოველთაო მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში უფრო ძნელი საქმე გახდა.

ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ბოლოდროინდელი ამბების მიმდინარეობა ყველამ ვიცით. აქ მინდა ხაზი გავუსვა მხოლოდ შემდეგ გარემოებას. საბჭოთა კავშირი იყო და არის იმის თანამიმდევრული მომხრე, რომ მსოფლიოს ამ რაიონში განხორციელდეს საყოველთაო მოწესრიგება ყველა დაინტერესებული მხარის, რა თქმა უნდა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობითაც. მოწესრიგება, რომელიც გაითვალისწინებს, რომ ისრაელი გაიყვანს თავის ჯარებს 1967 წლის ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან; განხორციელდება პალესტინელი არაბი ხალხის განუყოფელი უფლებები, კერძოდ, მისი თვითგამორკვევის, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება; უზრუნველყოფილი იქნება იმის უფლება, რომ დამოუკიდებლად და უშიშრად იარსებოს კონფლიქტის უშუალოდ მონაწილე ყველა სახელმწიფომ: როგორც ისრაელის მეზობელმა არაბულმა სახელმწიფოებმა, ისე ისრაელის სახელმწიფომაც; შეწყდეს ომის მდგომარეობა შესაბამის არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის. მხოლოდ ამ პრინციპულ დებულებათა განხორციელების შედეგად დამყარდება ახლო აღმოსავლეთში ნამდვილად მტკიცე მშვიდობა და არა მერყევი ზავი.

ჩვენ სულაც არ გვგონია, თითქოს ისრაელისათვის ცალმხრივი დათმობებისა და მასთან სეპარატიული მოლაპარაკების გზას, როგორიც არის ეგვიპტისა და ისრაელის ხელმძღვანელთა ყბადაღებული მოლაპარაკება, ამ მიზნისაკენ მივყავდეთ. პირიქით, იგი გვაშორებს ამ მიზანს, რადგან ღრმა განხეთქილება შეაქვს არაბულ სამყაროში. ეს გეზი ჩაშლას უქადის ნამდვილ მოწესრიგებას და, უწინარეს ყოვლისა, ძირს უთხრის ჟენევის კონფერენციას ჯერ კიდევ მის დაწყებამდე.

რაც შეეხება ეგრეთწოდებული პირდაპირი მოლაპარაკების, ესე იგი თავისი თავდასხმის მსხვერპლ თითოეულ ქვეყანასთან ისრაელის მოლაპარაკების მოჩვენებითი „უპირატესობის" გაძლიერებულ ხოტბასა და ქებას, ეს, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა იმის ცდა, რომ არაბებს გამოაცალონ ძალა, რომლის წყაროა მათი ერთობა და მეგობარი სახელმწიფოების მიერ მათი სამართლიანი საქმის მხარდაჭერა.

ამიტომ სსრ კავშირი იმის მომხრეა, რომ მოწვეულ იქნეს ჟენევის კონფერენცია, თანაც ისე, რომ იგი არ გადაიქცეს შირმად, რომლის უკან სეპარატიული გარიგებები დაიდება არაბთა ინტერესებისა და სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის საზიანოდ. ასეთია ჩვენი პოზიცია, მას მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი და იწონებენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები.

(„პრავდა". 24 დეკემბერი).

# 60 სახელოვანი წელი

### უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად ულოცავენ უკრაინის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს დიდ დღესასწაულს — საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის მესამოცე წლისთავს.

ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშებთან, მთელ რევოლუციურ მასებთან ერთად უკრაინის მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლებში, გაბედულად მიდიოდნენ ძველი სამყაროს საიერიშოდ. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლითაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა, დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში დამკვიდრდა, უზრუნველყო სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების გამარჯვება, მოსპო ეროვნული ჩაგვრა, გადაუშალა უკრაინელ ხალხს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში სწრაფი პროგრესის ასპარეზი.

საბჭოთა უკრაინა აქტიურად იბრძოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი კავშირის შექმნისათვის და ღირსეული წვლილი შეიტანა მის განვითარებაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

კომუნიზმის იდეალებისადმი უკრაინელი ხალხის ერთგულება, მგზნებარე პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი უდიდესი ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. უკრაინის შვილები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ვაჟკაცურად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. კაცობრიობას მუდამ ეხსომება უკვდავი გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელმაც მსოფლიო იხსნა ფაშისტური მონობისაგან.

უკრაინის მშრომელებმა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დახმარებით მალე აღადგინეს ომით დანგრეული ქალაქები და სოფლები, მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და სულიერი ცხოვრების მძლავრ აღმავლობას.

კომუნისტთა პარტიის მეთაურობით, თავისუფალი რესპუბლიკების ურღვევ ძმურ ოჯახში საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს მიაღწია. ჩვენს ქვეყანაში აშენდა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, შეიქმნა მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო.

დღეს მომწიფებული სოციალიზმის ნიშნები ახასიათებს რესპუბლიკის მთელ სახესაც, მთელ ცხოვრებას. უკრაინის სს რესპუბლიკა — ეს არის აყვავებული მხარე, რომელსაც აქვს მძლავრი ინდუსტრია, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. შეიქმნა ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების, სოციალისტური დემოკრატიის გაშლის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების წინათ არნახული შესაძლებლობანი.

დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალები, მასების აქტიურობის უფართოესი გაქანება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთსულოვანი მხარდაჭერა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მიღების, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულის დროს. უკრაინის მშრომელები ამ უთვალსაჩინოეს მოვლენებს შეხვდნენ საიუბილეო სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებული შესრულებით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევებით, მარცვლეულის რეკორდული მოსავლით. რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი შთაგონებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანს დიდად და გულწრფელადახარებს იმ დიდი და სახელოვანი გზის შედეგები, რომელიც უკრაინამ განვლო 60 წლის მანძილზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი სახელოვანი რაზმის — უკრაინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც ლენინურად, კომუნისტურად იცხოვრებენ, იმუშავებენ და იბრძოლებენ, ყოველნაირად განამტკიცებენ სამშობლოს ძლიერებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, აქტიურად იბრძოლებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მიაღწევენ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# საზეიმო სხდომა კიევში



კიევი, 23 დეკემბერი. (საქინფორმი). 1977 წლის 25 დეკემბერს [illegible]

...ლზე მიაღწია სახალხო მეურნეობის მძლავრ განვითარებასა და სულიერ აყვავებას. ოთხგზის ორდენოსანი უკრაინის სს რესპუბლიკის დღესასწაული — ეს არის სსრ კავშირის ხალხთა დიდი და ერთსულოვანი ოჯახის საერთო დღესასწაული.

დღეს კიევში გაიმართა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა და საბჭოთა არმიის მეომართა წარმომადგენლები.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, გ. ვ. რომანოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს გ. ა. ალიევს, პ. მ. მაშეროვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებს: საქართველოსი — ე. ა. შევარდნაძეს, ლიტვისა პ. პ. გრიშკიავიჩუსს, მოლდავეთისას — ი. ი. ბოდიულს, ლატვიისას — ა. ე. ვოსს, ყირგიზეთისას — ტ. უ. უსუბალიევს, ტაჯიკეთისას — ჯ. რასულოვს, სომხეთისას — კ. ს. დემირჩიანს, თურქმენეთისას — მ. გ. გაპუროვს, ესტონეთისას — ი. გ. კებინს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ფ. ვატჩენკოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. პ. ლიაშკოს. პრეზიდიუმში არიან რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, პარტიისა და რევოლუციის ვეტერანები, უკრაინისა და მისი დედაქალაქის წარჩინებული ადამიანები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ. ბედნიერი ვართ, თქვა მან, რომ ამ საზეიმო დღეებში, ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენთან ერთად არიან ჩვენი მეგობრები, ჩვენი ძმები — თვალუწვდენი სამშობლოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ვ. ვ. შჩერბიცკიმ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი, რომელსაც სხდომის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საზეიმო სხდომის მონაწილეების, საბჭოთა უკრაინის მთელი ორმოცდაათმილიონიანი ხალხის სახელით ვ. ვ. შჩერბიცკიმ ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მხურვალე მადლობა გადაუხადა მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის, რევოლუციურ მოძრაობაში უკრაინელი ხალხის როლის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში მისი წვლილის მაღალი შეფასებისათვის.

შემდეგ ვ. ვ. შჩერბიცკიმ თქვა: ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მთხოვა მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, საზეიმო სხდომის მონაწილეებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს ეს შესანიშნავი იუბილე, გისურვოთ ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. ლეონიდ ილიას ძემ მისთვის ჩვეული გულითადობით მითხრა, რომ უკრაინაში მუშაობის რამდენიმე წლის მანძილზე დაკავშირებული იყო მის შესანიშნავ ადამიანებთან, მათ შრომასა

(დასასრული მე-2 გვ.)

# ხუთწლედის ანგარიშში

### სატრაქტორო მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ მოვლენას — საიუბილეო წლის დამამთავრებელ დღეებში მეათმილიონე ტრაქტორის გამოშვებ...

თქვენი შრომითი გამარჯვება მკაფიოდ მოწმობს, რომ პრაქტიკულ... ხორციელდება ლენინის იდეები სოფლის მეურნეობის სოციალისტ... გარდაქმნის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების სახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, ტრაქტორმშენებელთა კოლექტივები, რომლებმაც ბევრი შესანიშ... ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა ხალხის შრომითი და საბრძოლო დ... ბის მატიანეში, დღესაც არიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილ... თა შესრულებისათვის, პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორ... ლებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, რომლი... ზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაქცევა სოციალისტური ნომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად.

გამოვთქვამ რწმენას, რომ სატრაქტორო მრეწველობის საწარ... კოლექტივები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ო... ნიზაციები, რომლებიც იბრძვიან პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ც... რალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტ... ბათა შესასრულებლად, ენერგონაჯერი ტრაქტორების გამოშვები... დიდებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერ... გადიდებისათვის, მატერიალური რესურსების მომჭირნე და ყაირ... ნი ხარჯვისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება... ფუძეზე უზრუნველყოფენ 1978 წლისა და მეათე ხუთწლედის... დადგენილი საგეგმო დავალებების წარმატებით შესრულებას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომით წარმატებებს... ნი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევ...

# ვალდებულება შესრულე...

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა კარგი ჭირნახული მოიწიეს, ორგანიზებულად აიღეს მოსავალ... გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ჩაის, ბოსტნეულის, ბაღჩეული... ეთერზეთოვანი კულტურების, აგრეთვე კარტოფილის მიყიდვი... ციალისტური ვალდებულებანი.

დამამზადებელ პუნქტებსა და გადამამუშავებელ საწარმოებ... რდა 526 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, აქედან 180 ათასი ტონა ციტრუსი... ათასი ტონა ბოსტნეული და ბაღჩეული, 132 ათასი ტონა კარ... ლი 28 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურები. ეს პროდუქცი... პუბლიკაში პირველად დამზადდა ასეთი დიდი რაოდენობით.

სახელმწიფოსათვის ციტრუსის, ბოსტნეულისა და ჩაის მ... გრძელდება.

ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნ... მტკიცე საფუძველს უყრიან 1978 წლის მოსავალს, მეცხოველ... ფერმებში გაჩაღებულია შეჯიბრება პირუტყვის ორგანიზებული ზამთრებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. (საქინფ...

# საზეიმო სხდომა კიევში

(დასასრული)

და ბრძოლასთან, გაიხსენა ბევრი თავისი მეგობარი და ამხანაგი. მეტად გულთბილად ილაპარაკა მან საბჭოთა უკრაინის ნიჭიერ, შრომისმოყვარე, კომუნიზმის საქმის უაღრესად ერთგულ ხალხზე, ერთხელ კიდევ აღნიშნა მისი დიდი წვლილი ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადი მილოცვა და სურვილები, უეჭველია, შთააგონებს რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, განაცხადა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, გაამრავლებს ჩვენს ძალებსა და ენერგიას პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენმა ქვეყანამ, აღნიშნა ვ. ვ. შჩერბიცკიმ მოხსენებაში, დაიწყო თავისი სახელოვანი სოციალისტური ისტორიის მეშვიდე ათწლეული. დიდ ოქტომბერთან, მის მძლავრ რევოლუციურ-გარდამქმნელ ზემოქმედებასთან განუყრელად არის დაკავშირებული უკრაინელი ხალხის ნათელი ისტორიული ბედი. დღეს აშენებული განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მწვერვალიდან წარსული უფრო მკაფიოდ მოჩანს, ნათლად ფასდება. და ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ: უკრაინელი ხალხი ღირსეულად ატარებდა და ატარებს ოქტომბრის წითელ დროშას.

ქვეყნის ისტორიული მიღწევები საკანონმდებლო წესით დაამკვიდრა ახალმა კონსტიტუციამ, რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ოქტომბრის იდეები თანამიმდევრულად და წარმატებით ხორციელდება. ერთსულოვნად მოიწონა რა ქვეყნის ძირითადი კანონი, უკრაინელმა ხალხმა ახალი ძალით დაადასტურა, რომ იგი მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის დიდი ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებლის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიზანდასახულ და ნაყოფიერ საქმიანობას.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობის ძმურმა კავშირმა, რომელსაც ფესვი ისტორიის სიღრმეში აქვს გადგმული, განაპირობა უკრაინელ მუშათა და გლეხთა აქტიური მონაწილეობა მთელი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. უკვდავი ლენინის ანდერძი, რომ „ველიკორუს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია", — მთელი ჩვენი ცხოვრების წმიდათაწმიდა კანონი გახდა.

როგორც ლენინური პარტიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, უკრაინის ბოლშევიკური ორგანიზაციები თანამიმდევრულად ახორციელებდნენ მის პოლიტიკურ გეზს. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად და მიზანდასახულად ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას. პარტიამ და ლენინმა შეაკავშირეს და გაუძღვნენ უკრაინელ მშრომელებს სოციალისტურ საწყისებზე ცხოვრების გარდაქმნისათვის საბრძოლველად და ხალხის საქმემ, სოციალისტური რევოლუციის საქმემ გაიმარჯვა. უკრაინაში სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება.

1917 წლის 24-25 დეკემბერს ხარკოვში გამართული სრულიად უკრაინის საბჭოების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებებში ხორცი შეისხა უკრაინელი ხალხის ძირეულმა ინტერესებმა და ნებამ, დამკვიდრებულია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება უკრაინაში. ეს გამარჯვება იყო ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების გამარჯვება, კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება. უკრაინელი ხალხის დაუძინებელმა მტრებმა — უკრაინის ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა — სრული იდეური და პოლიტიკური მარცხი განიცადეს.

ოქტომბრის ქარ-ცეცხლში შობილი მშრომელთა რევოლუციური ერთიანობა ის ცხოველმყოფელი წყარო გახდა, რომელმაც უკრაინელ ხალხს გააძლებინა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში, დაიცვა თავისი თავისუფლება, თავისი სახელმწიფოებრიობა. და უაღრესად კანონზომიერია, რომ საბჭოთა უკრაინამ ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი მოძმე რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის ლენინურ იდეას — სსრ კავშირის შექმნას.

ხალხთა ლენინური მეგობრობის, ოქტომბრის ყოვლისშემძლე იდეების დიდი, ცხოველმყოფელი ძალა, თქვა შემდეგ ვ. ვ. შჩერბიცკიმ, მკაფიოდ გამოვლინდა სოციალისტური რევოლუციის უმთავრესი და ურთულესი ამოცანის — აღმშენებლობის ამოცანის გადაწყვეტის დროს. ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, კულტურულმა რევოლუციამ ცხადყვეს, თუ რაოდენ დაუშრეტელი ძალა და ტალანტია ხალხში, რა სასწაულების მოხდენა შეუძლია საბჭოთა ადამიანს. დნეპრჰესი, ხარკოვის სატრაქტორო და ტურბინის ქარხნები, ზაპოროჟიეს, კრივოი როგისა და მარიუპოლის მეტალურგიული გიგანტები, ნოვოკრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა და ხუთწლედების სხვა პირმშოები საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების ცოცხალი განსახიერებაა, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სიმბოლოებია. მთელ ხალხთან ერთად ახალი, სოციალისტური ცხოვრების გზას დაადგა უკრაინის გლეხობა. სოციალიზმის ტრიუმფმა შვა ახალი, სახალხო ინტელიგენცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების, ხალხთა ლენინური მეგობრობის ურყევი ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. ყველა საბჭოთა ადამიანის მხარდამხარ ებრძოდა ფაშისტ მტერს უკრაინელი ხალხი, ვაჟკაცობასა და მამაცობას იჩენდა მოქმედი არმიის რიგებში, სახალხო შურისმაძიებელთა რიგებში. პარტიის მიერ გამოწრთობილმა საბჭოთა ხალხების მეგობრობამ და ერთიანობამ გაუძლო უმძიმეს განსაცდელს და გაიმარჯვა. ხალხთა ეს მეგობრობა და ურთიერთდახმარება ის მძლავრი საძირკველი გახდა, რომლის წყალობითაც საბჭოთა უკრაინამ შეძლო სწრაფად მოეშუშებინა ომით მიყენებული ჭრილობები. სწორედ რომ მთელი ქვეყანა მონაწილეობდა ნანგრევებიდან ყოველი ქალაქის, ყოველი ქარხნის აღდგენაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 90-ჯერ გაიზარდა. იმისათვის, რომ ეწარმოებინა იმდენი პროდუქცია, რამდენსაც უკრაინა ახლა ერთ წელიწადში უშვებს, 1940 წელს მთელი ქვეყნის მრეწველობას სამ წელიწადს უნდა ემუშავა. სოციალისტური ეკონომიკის დიდად განვითარებულ სექტორად გადაიქცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. მარცვლეულის მოსავლიანობა 60 წლის მანძილზე სამჯერ და მეტად გაიზარდა.

დიდმა ოქტომბერმა უსაზღვრო შესაძლებლობანი გადაუშალა უკრაინელი ხალხის სულიერ განვითარებას. ახლა, თქვა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, რესპუბლიკაში ყოველი 100 მომუშავიდან 78-ს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. ყოველი მესამე კაცი ჩვენში სწავლობს. რესპუბლიკის მეცნიერები ფართო ფრონტით ეწევიან კვლევას თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა და აყვავდა უკრაინელი ხალხის შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული და სულისკვეთებითა და ხასიათით ინტერნაციონალისტური კულტურა. იგი ვითარდება როგორც მთელი საბჭოთა კულტურის შემადგენელი ნაწილი, ამრავლებს თავის პროგრესულ ტრადიციებს და ამავე დროს მდიდრდება ქვეყნის ყველა ხალხის სულიერი საგანძურიდან.

რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში განსაკუთრებით დიდი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებანი მოხდა საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი, მეექვსე ათწლეულის მანძილზე. ამ პერიოდში უკრაინამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ვითარდება, პრაქტიკულად გაორკეცა თავისი ეკონომიკური პოტენციალი.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა რესპუბლიკის მშრომელთა წვლილი საიუბილეო წლის დაძაბული პროგრამის შესრულებაში.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიაში შექმნილი ტრადიციისამებრ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ქვეყნის სამეურნეო განვითარების მიმდინარეობა შეუჯერა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის პრინციპულ დებულებებს, დასახა მორიგი ამოცანები, დასახა შემდგომი მოქმედების დასაბუთებული პროგრამა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კომუნისტური მშენებლობის ძირეული ამოცანების გადაწყვეტისადმი ნამდვილი პარტიული მიდგომის შესანიშნავი მაგალითია. რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა უკრაინის კომუნისტების, მთელი ხალხის სახელით ვ. ვ. შჩერბიცკიმ აღუთქვა მშობლიურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ რესპუბლიკის მშრომელები წმიდად მოიხდიან თავიანთ უმაღლეს პატრიოტულ ვალს — თავდადებული შრომით ყოველნაირად განამტკიცებენ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას.

საზეიმო სხდომაზე უკრაინელ ხალხს, რესპუბლიკის კომუნისტებს გულითადად მიესალმნენ საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა ხელმძღვანელები. მათ აღნიშნეს საბჭოთა უკრაინის მშრომელთა დიდი წვლილი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. სტუმრებმა უკრაინელ ხალხს უსურვეს ახალი წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

## პარადი და დემონსტრაცია კიევში

**კიევი**, 24 დეკემბერი. (საქდესი). სადღესასწაულოდ არის მორთული კიევის ქუჩები და პროსპექტები. დღეს საბჭოთა უკრაინის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად აქ სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია გაიმართა.

გმირი ქალაქის მთავარ მოედანზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის სახელს ატარებს, ტრიბუნაზე არიან უკრაინის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები. მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა მეთაურები, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები. პარტიის ვეტერანები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

მოედანზე მწყობრად მოაბიჯებენ კიევის გარნიზონის მეომრები.

ორკესტრის მუსიკის ხმაზე ალისფერი დროშებით შემოდიან მოედანზე კიევის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის კოლონები. დემონსტრანტებს შორის არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები: ლენინური გვარდიის სახელოვანი მებრძოლები, რომლებიც რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან წლებში იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, პირველი ხუთწლედების გმირები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

კიევის დემონსტრაცია გადაიქცა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობისა და ერთობის ამაღელვებელ მანიფესტაციად, რომელმაც თვალსაჩინოდ ცხადყო უკრაინის მშრომელთა ერთგულება დიდი ოქტომბრის დროშისადმი, მზადყოფნა, შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, მეათე ხუთწლედის დავალებანი.

# კი ნუ დავფანტავთ, თავი მოვუყაროთ!

### კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის მტკივნეული საკითხები

**მთავრდება 1977 წელი — მეათე ხუთწლედის მეორე წელი, რომელიც, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, უაღრესად დაძაბული, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით: ამ წელს მივიღეთ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია; საზეიმოდ აღვნიშნეთ ოქტომბრის მე-60 წლისთავი; საგრძნობლად დაწინაურდა ჩვენი ეკონომიკა.**

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთელი მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობა ამჟამად სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა კეთილნაყოფიერი ზემოქმედებით ვითარდება. მეათე ხუთწლედის პერიოდის საბჭოთა ეკონომიკა ჭეშმარიტად უდიდესი მასშტაბის ეკონომიკაა. ძირითადი ფონდების ამოქმედების მოცულობის ზრდას, რომელიც მიმდინარე ხუთწლედში თითქმის 40 პროცენტით გადააჭარბებს მეცხრე ხუთწლედისას, უნდა მივაღწიოთ შედარებით ნაკლები კაპიტალდაბანდებების გზით (26 პროცენტი).

ასეთ პირობებში კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ეს კი, თავის მხრივ, ფრიად დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უყენებს მშენებლებს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შესრულდება კაპიტალური მშენებლობის პროგრამა. უნდა აშენდეს 182 დიდი საწარმო და ობიექტი, სარეკონსტრუქციო და გასაფართოებელია 50 ობიექტი. ყველა ეს სამუშაო წარმოებს სახალხო მეურნეობის 23 დარგის ხაზით; მათი ღირებულება დაახლოებით 5 მილიარდ მანეთს შეადგენს. გაიზრდება აგრეთვე სოფლის მეურნეობის საწარმოო შენობებისა და სათბურკომბინატების მშენებლობის მოცულობა, საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მასშტაბი.

„ვაშენოთ სწრაფად, ეკონომიურად და თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — აი კაპიტალური მშენებლობის მაღალი ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები". სწორედ ეს მოთხოვნებია ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის საფუძველი, მთავარი პრინციპები.

წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საერთო მოცულობა 1976 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზრდება. სულ კი მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ძირითადი ფონდების ამოქმედება განვლილი ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდება 30 პროცენტით, კაპიტალური დაბანდების ათვისება — 17 პროცენტით.

გაიზარდა სამუშაოთა მოცულობა აგრეთვე მეათე ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით.

საიჯარო სამუშაოთა პროგრამა 101 პროცენტით სრულდება. დამთავრდა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის რეკონსტრუქცია. აშენდა თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრი, ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზა. ამოქმედდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, ჭიათურის ახალი მაღაროები, პირველადი მეღვინეობის ქარხნები, საექსპლოატაციოდ გადაეცა სასკოლო შენობები, მთელი რიგი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები. ენგურჰესის მშენებლობაზე დამთავრდა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — გადაიხიდა მდინარე ენგური და დაიწყო ჯებირის წყალსაცავის ავსება. დიდი სამუშაოები მიმდინარეობს საწმენდ და საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობისათვის.

მაგრამ, კაპიტალურ მშენებლობაში კვლავ უაღრესად დაძაბული მდგომარეობაა. ისევე როგორც წინა წლებში, ვერ სრულდება კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი, საწარმოო და სხვა ობიექტების ამოქმედების მაჩვენებელი.

ჯერ კიდევ გრძელდება კაპიტალური დაბანდებების დაქსაქსვა. ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტები სუსტად უზრუნველყოფენ ძალებისა და სახსრების კონცენტრირებას ასამოქმედებელ ობიექტებზე, შლიან მათს დროულ გადაცემას საექსპლოატაციოდ, აჭიანურებენ მშენებლობის ვადებს. მართალია, წელს ჩამორჩენილი სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების რიცხვი შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიორად შემცირდა, მაგრამ ძირეული გარდაქმნები მშენებლობაში მაინც არ მომხდარა. საკმარისია ითქვას, რომ დეკემბერში, რომელიც რამდენიმე დღეში მთავრდება, საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეთ 314 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და ავითვისოთ 600 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ძირითადი ფონდები. შექმნილი მდგომარეობა კი იმის შედეგია, რომ უაღრესად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ მთელი რიგი სამშენებლო და შემკვეთი ორგანიზაციების კოლექტივები.

ეს იმის ბრალიც არის, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ცალკეული ხელმძღვანელები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სუსტად უწევდნენ კონტროლს ასამუშავებელი ობიექტებისა და ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას მათს ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქალაქ ფოთში, ახალქალაქის, ახალციხის, ქარელის, გორის, საგარეჯოს, გურჯაანის, ყვარლის, ბოლნისის, წალკის, თეთრიწყაროს, თიანეთის, წყალტუბოს, სამტრედიის, ორჯონიკიძის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, საჩხერის, ლენტეხის რაიონებში, საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ ის ცალკეული ობიექტებიც კი, რომლებიც 1976 წელს უნდა ამოქმედებულიყო და, სხვადასხვა მიზეზის გამო, 1977 წლისათვის გადმოიდო. სისტემატურად ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 5, № 6 და „სპეცმშენის" ტრესტები, გორის, ლილოსა და ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატები, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2, № 7 ტრესტები და სხვ.

კვლავინდებურად გრძელდება სამშენებლო ტრესტების მიერ საიჯარო სამუშაოთა საერთო პროგრამის შესრულების პრაქტიკა, ხოლო ასამოქმედებელ მშენებლობებზე შემკვეთთა „წყალობით" ისევ უაღრესად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. უნდა აღმოიფხვრას ისეთი პრაქტიკა, როცა შემკვეთები ყველაფერში კვერს უკრავენ მშენებლებს, ანდა ჯეროვანი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან ერთმანეთს და მზად არიან მიიღონ მშენებლობადაუმთავრებელი ობიექტები. ვერა და ვერ გაუმჯობესდა სამუშაოთა ხარისხი საბინაო მშენებლობაში.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დაუყოვნებლივ ავითვისოთ სამშენებლო ინდუსტრიის ახალი საწარმოების, სახლთსაშენებელი კომბინატების სიმძლავრენი. ვერაფრისდიდებით ვერ შევურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში ამ სიმძლავრეთა მხოლოდ 88 პროცენტს იყენებენ, აი სად იმალება მშენებლობის ბაზის შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი რეზერვი.

ჯერ კიდევ გრძელდება პრაქტიკა, როცა დიდძალი ობიექტების ამოქმედებას წლის დამლევისათვის ითვალისწინებენ, როცა კაპიტალური მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების ბედი დეკემბერში წყდება. ანალოგიური მდგომარეობაა საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეშიც. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლებს არაერთგზის მიუღიათ მითითება სამრეწველო და საცხოვრებელი ობიექტების მთელი წლის მანძილზე რიტმული ამოქმედების უზრუნველყოფის თაობაზე, მათს საექსპლოატაციოდ გადაცემას დეკემბრის უკანასკნელი დღეებისათვის იტოვებენ ხოლმე. და ამაში, უწინარეს ყოვლისა, ბრალი მიუძღვით მგეგმავ ორგანოებს, შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს, თვით საიჯარო ორგანიზაციებს. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს 1978 წელს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამშენებლო ინდუსტრიის ახალი საწარმოების, სახლთსაშენებელი კომბინატების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალ ასაწყობი რკინა-ბეტონის მოქმედ სიმძლავრეებს იყენებენ მხოლოდ 88 პროცენტით, სადურგლო ნაწარმის სიმძლავრეებს კი სულ 76 პროცენტით.

მშენებელთა ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ კვლავ სუსტად მუშაობენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახურები, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტი.

კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული დაპროექტების ვადებსა და ხარისხზე. ახალი ობიექტების შექმნის სწორედ ამ სტადიაში განისაზღვრება მათი ტექნიკური დონე, მშენებლობის დანახარჯები, პროდუქციის თვითღირებულება და მომავალი წარმოების სხვა ტექნიკური მაჩვენებლები.

**პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ შეძენილი გამოცდილება, მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, და მიაღწიონ იმას, რომ ამიერიდან თითოეულ სამშენებლო უბანზე, ყოველ ბრიგადაში შეიქმნას ორგანიზაციულ-ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ზრდას, მშენებლობის ვადების შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას. მათ უფრო აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი მისაბაძ თაოსნობებს, ფართოდ გაუწიონ პოპულარიზაცია და დანერგონ მოწინავე გამოცდილება, შექმნან ამა თუ იმ ობიექტის ამოქმედების ჩაშლის ყოველი ფაქტის, უქნარების, მუქთახორების, საზოგადოების სხვა ანტიპოდების შეუწყნარებლობისა და საყოველთაო გმობის ვითარება, აამაღლონ მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტიურობა სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. (საქინფორმი).**

## შეხვედრა უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**კიევი**, 22 დეკემბერი. (საქდესი). დღეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და უკრაინის სს რესპუბლიკის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულზე კიევში ჩამოსულ მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციებთან.

შეხვედრას დაესწრნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი; კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები: საქართველოსი — ე. ა. შევარდნაძე, ლიტვისა — პ. პ. გრიშკიავიჩუსი, მოლდავეთისა — ი. ი. ბოდიული, ლატვიისა — ა. ე. ვოსი, ყირგიზეთისა — ტ. უ. უსუბალიევი, ტაჯიკეთისა — ჯ. რ. რასულოვი, სომხეთისა — კ. ს. დემირჩიანი, თურქმენეთისა—მ. გ. გაპუროვი, ესტონეთისა — ი. გ. კებინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ ილაპარაკა უკრაინელი ხალხის გმირულ წარსულზე, იმაზე, თუ როგორ განვითარდა რესპუბლიკის ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღწეული წარმატებანი ყველა მოძმე რესპუბლიკის მჭიდრო ურთიერთობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შედეგია. უკრაინელ მშრომელებს პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ, რომ ამრავლონ თავიანთი წვლილი საბჭოეთის შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

ვ. ვ. შჩერბიცკი შეეხო სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის მთელ რიგ საკითხებს.

დელეგაციათა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მე-60 წლისთავი მთელი საბჭოთა ხალხის საერთო დღესასწაულია, მაღალი შეფასება მისცეს უკრაინის სს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს.

**კიევი**, 22 დეკემბერი. (საქდესი). დღეს მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები, რომლებიც საიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ კიევში, უკრაინის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მივიდნენ კიევის ცენტრში აღმართულ ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

მონუმენტთან დადგეს ყვავილების კალათი. ლენტზე ოქროს ვარაყით წარწერილია: **„ვლადიმერ ილიას ძე ლენინს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან"**. ძეგლი შეამკეს აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან გამოგზავნილი ყვავილებით.

შემდეგ ყვავილებით შეამკეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავად აღმართული მონუმენტის კვარცხლბეკი, გვირგვინები მიიტანეს მარადიული დიდების პარკში დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

ამავე დღეს ძვირფას სტუმრებს გულითადად მასპინძლობდნენ უკრაინის დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მშრომელები.

საღამოს კიევში დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართა.

## „სალუტ-6": ფრენა გრძელდება

**ფრენის მართვის ცენტრი**, 23 დეკემბერი. (საქდესი). კოსმონავტები იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო განაგრძობენ ფრენას „სალუტ-6" პილოტირებული სამეცნიერო სადგურით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებათა მიხედვით, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობა წარმატებით სრულდება.

**ფრენის მართვის ცენტრი**, 24 დეკემბერი. (საქდესი). დამთავრდა კოსმონავტების იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს ორბიტული ფრენის მეორე კვირა.

გუშინდელი პროგრამის ძირითად ნაწილს სამედიცინო კვლევა შეადგენდა. კოსმოსური ფრენის პრაქტიკაში პირველად მოეწყო კოსმონავტთა სისხლის მიმოქცევის სისტემის კოსმოსური გამოკვლევა. კვლევა წარმოებდა მრავალფუნქციანი აპარატურის „პოლინომ-2მ"-ის, „რეოგრაფის", „ბეტას" მეშვეობით, ამასთან იწერებოდა რეოგრამა, ბალისტოკარდიოგრამა და სხვა მაჩვენებლები. ეს ექსპერიმენტები მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ მონაცემები კოსმონავტის ორგანიზმში სისხლის გადანაწილების თავისებურებებისა და ფრენის სხვადასხვა ეტაპზე გულის კუმშვის ფუნქციის შესახებ. წარმოებდა აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა კვლევა ვაკუუმური კოსტიუმის „ჩიბისის" გამოყენებით.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებით, ეკიპაჟის ორივე წევრი თავს კარგად გრძნობს. მეთაურის მაჯისცემის სიხშირეა 65 წუთში, ბორტინჟინრისა — 55 წუთში. არტერიული წნევა მათ შესაბამისად აქვთ 130-65 და 115-55 მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტი.

დღეს პროგრამის შესრულების პროცესში ეკიპაჟი აწყობს ცალკეულ საბორტო სისტემათა საკონტროლო შემოწმებას, განაგრძობს სამეცნიერო და ფოტოაპარატურის მზადებას კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობისათვის. კოსმონავტები ამასთანავე ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებდნენ ველოერგომეტრზე.

სამუშაო დღე „სალუტ-6" სადგურში მოსკოვის დროით 23 საათზე დამთავრდება.



# ზაჰესი 50 წლისაა

### საზეიმო მიტინგზე

**ენერგეტიკოსის დღესა და ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჰიდროელექტროსადგურის ორმოცდამეათე წლისთავს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 22 დეკემბერს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.**

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, მოსკოველი, ლენინგრადელი, ბაქოელი, ერევნელი სტუმრები, პარტიისა და შრომის ვეტერანები — ზაჰესის მშენებლობაზე პირველ შაბათობათა მონაწილეები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ვ. ვადაჭკორიამ.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივისადმი.

მოხსენება გააკეთა „საქმთავარენერგოს" სამმართველოს უფროსმა უ. ცქვიტინიძემ.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის პ. ნეპოროჟნის მისალმება ზაჰესის კოლექტივისადმი წაიკითხა ამავე სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა პ. ქუმსიაშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ ზაჰესის ოსტატი გ. ფრანგულაშვილი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს უწყებრივი ენერგეტიკოსთა საბჭოს თავმჯდომარე ს. გორტინსკი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. გომელაური, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გ. ხოგავაძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე ა. კოტია, „საქმთავარენერგოს" თბილისის ელექტროქსელის დირექტორი ვ. ჭინჭალაძე, ლენინგრადის ტურბინების ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ვ. გალპერინი და სხვები.

**ზაჰესის ამუშავების შემდეგ განვლილი 50 წლის მანძილზე რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრე 350-ჯერ გაიზარდა, თქვეს კრების მონაწილეებმა. ახლა ენერგეტიკაში სხვა ანგარიშია, ვიდრე წინათ იყო. მარტო თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ერთი აგრეგატი სიმძლავრით ოთხ ზაჰესს უდრის! ინგურჰესის სიმძლავრე, მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 40 ზაჰესის ტოლი იქნება.**

გიგანტურად გაიზარდა ელექტროგადამცემი ხაზები. 1927 წელს, ზაჰესის პირველი რიგის ამუშავების მომენტში, აშენდა 40 კილომეტრი სიგრძის ზაჰეს-თბილისის 35 კილოვოლტი ძაბვის ხაზი, რომლის ბაზაზე შეიქმნა პირველი სოლიდური ენერგოსაწარმო — საქართველოს მაღალძაბვიანი ქსელი, ამჟამად თბილისის ელექტროქსელი. ახლა ეს არის უდიდესი სამმართველო, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს და აღმოსავლეთ საქართველოს თერთმეტ რაიონს.

• • •

**23 დეკემბერს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლთან ზაჰესში. მიტინგზე მოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის, მცხეთის რაიონის წარმომადგენლები, აგრეთვე სტუმრები ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.**

დიდი ბელადის ძეგლი ვეებერთელა გვირგვინით შეამკეს.

მიტინგი გახსნა მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. პეტრიაშვილმა.

მიტინგზე გამოვიდნენ ზაჰესის დირექტორი ა. ხეთაგური, საწარმოო გაერთიანება „საქჰიდროენერგოს" ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციის ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. კოჟევნიკოვი, შრომის ვეტერანი ა. ლალიაშვილი, ზაჰესის ოსტატი გ. ფრანგულაშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი მ. ლომიძე.

ორატორებმა პარტიასა და მთავრობას აღუთქვეს, რომ განაგრძობენ ზაჰესის პირველ მშენებელთა სახელოვან ტრადიციებს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ქვეყნის ჰიდროენერგეტიკის შემდგომი განვითარების საქმეში.

(საქინფორმი).

### მსოფლიოს პრესის გამოძახილი

# მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკა

**მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხებს „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე. სხვადასხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელმა გამოხატა საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული მისწრაფება განამტკიცოს ხალხთა შორის მეგობრობა, გააღრმავოს დაძაბულობის შენელება, შეიზღუდოს გამალებული შეიარაღება და მიღწეულ იქნეს განიარაღება, მოგვარდეს მწვავე საერთაშორისო პრობლემები.**

ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების გაზეთები პირველ გვერდებზე აქვეყნებენ პასუხების ტექსტს. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო **„ტრიბუნა ლუდუ"** აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ საბჭოთა საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინადადებას ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე ორმხრივი უარის თქმის შესახებ.

დასავლეთ გერმანიის გაზეთები, აქვეყნებენ რა ლ. ი. ბრეჟნევის პასუხებს, უპირველეს ყურადღებას მიაპყრობენ მის მომავალ ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, წერს **„კელნერ შტადტ-ანცაიგერი"**, მარტო ორმხრივ საკითხებზე როდი აპირებს მოლაპარაკებას ფედერალურ კანცლერ შმიდტთან. **„ვესტდოიჩე ალგემაინე"** ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის პასუხში გამოთქმულ იმედს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან მისი მოლაპარაკება ხელს შეუწყობს არა მარტო საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას მთელ რიგ სფეროებში, არამედ ევროპის დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უფრო ფართო ინტერესებსაც.

ლონდონის **„ფაინენშლ ტაიმსი"** აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი მუდამ მზად არის წარმატებით დაამთავროს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მაგრამ მას სურს, ხაზს უსვამს ამერიკის **„იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის"** საინფორმაციო სააგენტო, რომ შეერთებულმა შტატებმა მეტი პოზიტიური ნაბიჯები გადადგას შეთანხმების დადების გზაზე.

**„ასოშიეიტედ პრესის"** სააგენტო გამოჰყოფს ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებს პენტაგონის გეგმებთან დაკავშირებით, რომელსაც განზრახული აქვს შეუდგეს ნეიტრონული იარაღის წარმოებას. „ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხაზს უსვამს სააგენტო, — განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდება ამითვე უპასუხოს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ნეიტრონული ბომბის შექმნის გეგმების განხორციელებას შეუდგება".

უკანასკნელი ცნობების გამოშვებაში ამერიკის სატელევიზიო კომპანიებმა **„სი-ბი-ესმა"**, **„ეი-ბი-სიმ"** და **„ენ-ბი-სიმ"** ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებას უწოდეს „საბჭოთა კავშირის პირველი ოფიციალური გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ ნეიტრონის ბომბის წარმოების ფორსირებას ახდენს".

„ლ. ი. ბრეჟნევმა, — წერს **„ვაშინგტონ პოსტი"**, — მკაცრად გააკრიტიკა ეგვიპტე-ისრაელის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრა და აღნიშნა, რომ ასეთი მოლაპარაკების მიზანია ძირი გამოუთხაროს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საქმეს". ამ რაიონში მშვიდობის დამკვიდრების საკითხში საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციას აღნიშნავს **ამანის** რადიო. იორდანიის პრესის ორგანოები აღნიშნავენ, რომ პასუხში დასახელებული ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის პირობები იორდანიის პოზიციის საფუძველია.

(საქდესი, 24 დეკემბერი).

## ნიკო კეცხოველის დაბადების მე-80 წლისთავის გამო

# ღვაწლმოსილი მამულიშვილი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ნიკო კეცხოველს დაბადების მე-80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველი დაიბადა 1897 წლის 26 დეკემბერს მასწავლებლის ოჯახში (გორის რაიონი, სოფელი ტყვიავი), დღეს ამ თარიღს ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა დიდი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს.

ნიკოს მამა — ნიკოლოზ კეცხოველი — კარგი მეურნე იყო, გამოჰყავდა ხეხილის ახალი ჯიშები. პატარა ნიკოც გატაცებული იყო ამ საქმით. მამა უნერგავდა შვილს ბუნების სიყვარულს. ეს სიყვარული ჩანდა სიყმაწვილეში დაწერილ მის მოთხრობებშიც, რომლებსაც ჟურნალი „ნაკადული“ ბეჭდავდა. ჟურნალის რედაქტორი ნინო ნაკაშიძე კარგ შეფასებას აძლევდა მის საბავშვო თხზულებებს — მოთხრობებს, ზღაპრებს, პიესებს, ეტიუდებს.

1918 წელს ნიკომ დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და 1919 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც 1926 წელს დაამთავრა.

ნიკო კეცხოველი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც კვლევით მუშაობას მოჰკიდა ხელი. კვლევის მიმართულებად მემცენარეობა და ბოტანიკა აირჩია. სამოქმედო ბაზად — თბილისის ბოტანიკური ბაღის ლაბორატორია, რომელსაც მაშინ ცნობილი ბოტანიკოსი პეტრე ჟუკოვსკი ხელმძღვანელობდა. ამ ლაბორატორიაში ბევრი საინტერესო გამოკვლევა შესრულდა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ხორბლის ენდემურ სახეობათა წარმოშობის დადგენა.

ნ. კეცხოველმა ბოტანიკური კვლევა პრაქტიკული საკითხების დამუშავებით დაიწყო. მან მიზნად დაისახა სარეველა მცენარეების შესწავლა. პირველი მეცნიერული შრომა 1924 წელს გამოაქვეყნა და მიუძღვნა იგი ქართლის სარეველა მცენარეებს — მათს ბიოლოგიას, მორფოლოგიას, სისტემატიკას, წარმოშობას, გავრცელებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. პარალელურად იკვლევდა კულტურულ მცენარეებსაც. მისი გასვლა ბუნებაში მუდამ დიდი მეცნიერული „ნადავლით“ გამოირჩეოდა.

ნ. კეცხოველის კვლევით საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცენარეთა გავრცელების ზონების დადგენას. აკადემიკოსმა ნიკოლოზ ვავილოვმა მოიწონა ახალგაზრდა მეცნიერს ძიების სფერო, ხაზი გაუსვა მის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ აქტუალობას, განსაკუთრებით კულტურულ მცენარეთა დარაიონების საქმეში. ამ დროიდან მოყოლებული ნიკო კეცხოველი ყოველწლიურად აწარმოებს დაკვირვებებს, იღებს ანაზომებს, შედარებითი ანალიზის შედეგად ავლენს გარკვეულ დამოკიდებულებას მცენარეთა ბიოლოგიასა და გეოგრაფიულ გავრცელებას შორის.

ნ. კეცხოველის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტყის პრობლემასაც. ტყე, როგორც ერის საუნჯე, სიცოცხლის წყარო, მრავალმხრივ ყურადღებას მოითხოვს, და ნ. კეცხოველიც გულმოდგინედ სწავლობდა და სწავლობს ტყისა და ველის ურთიერთობას. მან შეისწავლა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლი, გომარეთისა და დმანისის ზეგნები. დიდი დრო დაუთმო აგრეთვე დაბლობი ტყეების არსებობისა და სამეურნეო გამოყენების საკითხებს.

ნ. კეცხოველი, როგორც წესი, უყურადღებოდ არ ტოვებს სოფლის მეურნეობის პრობლემებსაც და დროდადრო უბრუნდება ისეთი საკითხების დამუშავებას, როგორიც არის სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლის საკითხები, კულტურულ მცენარეთა ზონები და მათი ათვისება, კულტურების დარაიონება, ზონების სამეურნეო მნიშვნელობა, მათი პოტენციური შესაძლებლობანი, მცენარე ინდიკატორები, მათი მნიშვნელობა და ბევრი სხვა.

მეცნიერებათა მიღწევის დანერგვის ერთ-ერთი ფორმაა ნ. კეცხოველის შრომა — აგროგეობოტანიკური რუკა, რომელიც 1972 წელს გამოქვეყნდა. ავტორი ამ შრომაში გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული გეობოტანიკური კვლევის შედეგები წარმოებაში (სოფლის მეურნეობაში), ამ შრომას ერთვის სრულიად ორიგინალური რუკა, რომელზეც ასახულია ორი მომენტი — მცენარეული საფარის ერთეულები და კულტურულ მცენარეთა ცალკეული ჯგუფები. ეს რუკა უნიკალურია.

ნიკო კეცხოველის მეცნიერულ კვლევაში ახალი მიმართულებაა სახეობა და სახეობათა წარმოქმნის პრობლემა. ამ საკითხს იგი განიხილავს კოწახურის შიდასახეობრივი მდიდარი შედგენილობისა და ცვალებადობის მაგალითზე, რომელსაც უძღვნა მონოგრაფიული ნარკვევი „საქართველოს კოწახურები“ (1973). ამ მცენარის შიდასახეობრივ ცვალებადობაში კარგად აისახა აკადემიკოს ნ. ვავილოვის მორფოლოგიური ცვალებადობის კანონი და ამასთან დამაჯერებლად გამოვლინდა პოპულაციებში სახეობათა წარმოქმნის გზები.

ნიკო კეცხოველი მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, 1933 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრას, 1941 წელს სხვა 17 აკადემიკოსთან ერთად შეჰყავთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. 1942 წელს აკადემიაში ყალიბდება სოფლის მეურნეობის განყოფილება და ირჩევენ მის ხელმძღვანელად. 1945 წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. 1957-1962 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების თავმჯდომარეა. 1963 წელს კი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე, სადაც ამჟამადაც დიდი ენერგიით მოღვაწეობს. მისი საქმიანობა მრავალმხრივია, იგი ბევრი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორია.

ნ. კეცხოველი 1958 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს ბოტანიკურ საზოგადოებას, არის საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების საპატიო წევრი. 13 მცენარეს აღმომჩენის — კეცხოველის სახელი ეწოდა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი 60 წელია საზოგადოებას ემსახურება. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივია. იგი სახელოვანი მეცნიერი და მწერალია. მისი დამსახურება, როგორც საბავშვო მწერლისა, აღინიშნა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭებით. მეცნიერებაში ის გვევლინება როგორც ხე-ბუმბერაზი, ფესვმაგარი და ტოტებგაშლილი — მრავალ დარგში მოღვაწე მეცნიერი.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მრავალი მედლით. სახელოვანი მამულიშვილი ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს შრომას, ძიებას. ხანდაზმულობა ვერ ზღუდავს მის მხნეობას.

ნიკო კეცხოველის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მშობელი ხალხის ინტერესებთან.

ნიკო კეცხოველი ის ადამიანია, რომლის გული ასე დაუღალავად ძგერს ერის სიყვარულში, მის საკეთილდღეოდ.

ვუსურვებთ იუბილარს მრავალ ხალისიან წელს და ჯანმრთელობას!

**ვლადიმერ მენაბდე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

# ამაგდარი

**ფართო** დიაპაზონის მოღვაწეს ნიკო კეცხოველს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული კულტურის განვითარებაში, ჩვენი ერის ცხოვრებაში. მას ხალხი იცნობს როგორც მრავალი თაობის აღმზრდელს, სწავლულ ბოტანიკოსს, უმაღლესი სკოლის შესანიშნავ ორგანიზატორს, თვალსაჩინო მწერალს, აგრეთვე როგორც ჩინებულ სოფლის მეურნეს, გეოგრაფსა და მოგზაურს, ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს, ფოლკლორის მოამაგეს და ტოპონიმიკოსს, ფოტოდოკუმენტალისტსა და მთამსვლელს.

ძნელია დღეს მოინახოს მეორე ასეთი მოღვაწე მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ვისაც ხალხის ისეთი დიდი სიყვარული დაემსახურებინოს.

როდესაც ვფიქრობთ აკადემიკოს კეცხოველზე, ჩვენს შეგნებაში წარმოისახება ხევის ბერივით ბრძენი, მეტად კოლორიტული ფიგურა, ძლიერი მთაკაცი, რომელშიც შერწყმულია დიდი ნიჭი, დაუცხრომელი შრომისმოყვარეობა, სპეტაკი ზნეობა.

ამ ადამიანის ბობოქარ და ალალმართალ ხასიათში გამოკვეთილია მისი მთავარი თვისება — საქმის, ერის, ჩვენი დიადი პარტიის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. ლექციაზე უსმენ მას თუ ტელევიზორსა და რადიოში, კითხულობ მის ლიტერატურულ ნაწარმოებს თუ პირადად ესაუბრები, — გიზიდავს და გამხნევებს მისი მომხიბვლელობა და უშუალობა, ვაჟკაცური ბუნება და სიბრძნე. იგი გასწავლის, თუ როგორ უნდა იშრომო და სამშობლოს ბედნიერებას მოახმარო შენი ნიჭი და ცხოვრება, თუ როგორ უნდა ემსახურო საზოგადოებას, მეგობრებს, კოლეგებს, სიკეთესა და ჭეშმარიტებას. რამდენი კაცისათვის უპატრონია მას, რამდენისათვის უანგაროდ გაუწვდია დახმარების ხელი, რამდენი დაუყენებია ცხოვრების გზაზე.

1919 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მოსულმა, მან აქვე, ჩვენს უნივერსიტეტშივე, გაიარა გზა სტუდენტობიდან რექტორობამდე, ამასთან თბილისის ბოტანიკური ბაღის ლაბორანტობიდან ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორობამდე, ასეთია აკადემიკოსის და მწერლის გზა.

იგი 8 წლის მანძილზე სათავეში ედგა თბილისის უნივერსიტეტს, რექტორად მუშაობდა იმ მეტად რთულ პერიოდში, როდესაც ჩვენი სამშობლო დიდი სამამულო ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. და მან, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა, საზოგადო მოღვაწემ და დიდმა მოქალაქემ, რექტორმა და ახალგაზრდობის აღმზრდელმა დიდი კვალი დააჩნია თბილისის უნივერსიტეტის საქმიანობას.

ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს უსურვებს ჩვენი ხალხი აკადემიკოს ნიკო კეცხოველს დაბადების მე-80 წლისთავზე!

**დ. ჩხიკვიშვილი,**
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

# „თითოეული სიტყვა — თითო ბედაურად ღირებული“

**ეს** მეტაფორული სიტყვათშენაერთი, წერილის სათაურად რომ ავირჩიე, ნიკო კეცხოველს ეკუთვნის. ასეთი არჩევანი არცთუ შემთხვევითია: მთელი შემოქმედება ჩვენი სახელოვანი იუბილარისა — მხატვრული თუ მეცნიერული — ქართულ სიტყვასთან დაუცხრომელი ჭიდილისა და სიტყვათშემოქმედებითი ძიების მკვეთრი ნიშნით არის აღბეჭდილი. და, საერთოდ, იშვიათია პიროვნება, რომელიც ასე ორგანულად ახამებდეს და ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენდეს სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობას. ნიკო კეცხოველს იზიდავს უმთავრესად ქართული ხალხური მეტყველების წიაღში დაბუდებული და ფესვგამდგარი იშვიათი სიტყვობრივი მიმოქცევები, „თითო ბედაურად ღირებული“ ლექსიკური ერთეულები, რომელთაც დღემდე არ ღირსებიათ ლიტერატურული გამოხატულება და უნიფიცირებული ქართული ლექსიკონის საერთო აღნაგობაში დამკვიდრება-დაფუძნება.

სრულიად განსაკუთრებულია ნიკო კეცხოველის ღვაწლი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენასა და დამუშავებაში, საზოგადოდ, ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. უამრავი საბუნებისმეტყველო ტერმინი ამოზიდა მან ქართული დიალექტებიდან, მრავალ საერთაშორისო ბოტანიკურ ცნებას მიუსადაგა ხალხში გაბნეული ქართული შესატყვისები და მათ სამუდამო ადგილი მიუჩინა ამ დარგის სამეცნიერო ენაში.

1925 წლიდან მოყოლებული უხვად იბეჭდებოდა ჩვენს პრესაში ნიკო კეცხოველის სასოფლო-სამეურნეო თემატიკის წერილები, კორესპონდენციები, სადაც გაცოცხლებული და დღის სინათლეზე გამოტანილია მივიწყებული ქართული სიტყვები, რომელთა გამომზეურება ამზადებდა ნიადაგს ფუნდამენტური ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესაქმნელად. ამავე მიზანს ემსახურებოდა მისივე მხატვრული ნაწარმოებები და ბოტანიკის სახელმძღვანელოები თუ სამუშაო სასწავლო წიგნები, სადაც წარმოდგენილია ავტორის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებული და სათუთად შერჩეული ძირეულად ქართული ლექსიკური ერთეულები, ძვირფასი მასალა სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გასამდიდრებლად და საერთო ეროვნული ლექსიკონის ფარგლების გასაფართოებლად.

მხატვრულ ნაწარმოებებსა და სახელმძღვანელო წიგნებს მოჰყვა მეცნიერული ნაშრომები, სადაც გამოვლენილია აურაცხელი ტერმინები, მოხმობილი ჩვენი დაუღალავი მკვლევარის მიერ ქართული ხალხური მეტყველებიდან და ძველი წერილობითი წყაროებიდან — უმთავრესად ე. წ. საბუთების ენიდან.

ნიკო კეცხოველის გამოკვლევებში დამოწმებულია საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებული ნაირნაირი ტერმინები და გამოთქმები, ცხადლივ მაჩვენებელი ჩვენი ძველი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი დონისა და ამ სფეროში ქართული სიტყვათშემოქმედების მდიდარი ტრადიციებისა.

ექვსი ათეული წლის მანძილზე ნიკო კეცხოველი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბოტანიკურ, ფოლკლორისტულ და ალპინისტურ ექსპედიციებში და დიდი გატაცებით აგროვებდა ჩვენი სამშობლოს მცენარეული საფარის აღმნუსხველ სიტყვებს, რომელთა სისტემატიზაცია მოასწავებდა სათანადო სამეცნიერო დისციპლინის განვითარების ახალ საფეხურს საბჭოთა საქართველოში.

ქართველი მეცნიერების მიერ დადგენილი და კანონიზებული სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ტერმინები შეჯამებულია ვეებერთელა, როგორც იტყვიან, „მაგიდის წიგნში“, რომელსაც ეწოდება „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია“, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, მაჩვენებელი ენათმეცნიერთა და სათანადო დარგის სპეციალისტთა შეთანხმებული ერთობლივი მუშაობისა.

ამ კაპიტალური წიგნის შექმნას ფასდაუდებელი ამაგი დასდო მისმა მთავარმა რედაქტორმა ნიკო კეცხოველმა. ეს სამენოვანი ნაშრომი მოიცავს 25 ათას ტერმინსა და ტერმინოლოგიურ გამოთქმას.

ნიკო კეცხოველმა დაამკვიდრა ქართულ ენაში, მაგალითად, ისეთი შესანიშნავი სიტყვები, როგორიც არის „სარეველა“, „მთამაღალი“, „მეკლდეური“ და მრავალი სხვა მარჯვე ტერმინი, რომელთაც კარგა ხანია მოქალაქეობრიობა მოიპოვეს ქართულ ლექსიკონში.

ქართული ხალხური ლექსიკის ამოუწურავი საგანძურიდან ამოზიდული სიტყვა-გამოთქმებით დამშვენებულია ნიკო კეცხოველის გახმაურებული წიგნები „მორბის არაგვი არაგვიანი“ და „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“, საიდანაც შეიძლება შევადგინოთ მთელი ლექსიკონი დღემდე უცნობი იშვიათი და ხელიხელ საგოგმანები სიტყვობრივი მარგალიტებისა.

ნიკო კეცხოველმა დიდი წვლილი შეიტანა რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენაში, როგორც მთავარი რედაქციის წევრმა. მანვე ამაგი დასდო საბავშვო ენციკლოპედიის შექმნას.

ნიკო კეცხოველი „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და ამ დიდი ეროვნული ლექსიკოგრაფიული ნაშრომის აქტიური მონაწილეა.

ჩვენი პატივცემული იუბილარის მიერ მოპოვებული და განმარტებული ბოტანიკური ტერმინები უხვად არის დამოწმებული და გამოყენებული ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში. მაგალითად, დიდი ისტორიკოსის ორტომიან „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ საპატიო ადგილი ეთმობა ნიკო კეცხოველის მასალებიდან ამოღებულ მრავალტერმინს და მისეულ გონებამახვილურ ინტერპრეტაციებს.

ჩვენი იუბილარი ერთგან ამბობს: „ქართველი კაცის გული კარგი სიტყვის დაუშრეტელი საბადოა, საბადო, რომელიც ყოველთვის მდიდრდება, ერთი სიტყვა მეორეს მოსდევს, იღებ ამ ძვირფას მადანს და არ ილევა“.

ნიკო კეცხოველის ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ძიებები საგრძნობლად აფართოებს ნატურალისტური ლექსიკოგრაფიის ფარგლებს და მრავალი ხელუხლებელი „სიტყვობრივი მადნეულის“, „ხალხის გულში ჯერ მთვლემარე“ საბადოს წარმოჩენისაკენ წარმართავს ჩვენს გულისყურს.

**შოთა ძიძიგური,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## იუბილარს ულოცავენ

**ღრმად პატივცემულო** და ძვირფასო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ, საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდიუმი გილოცავთ დაბადების 80 წლისა და სამეცნიერო-ორგანიზაციული და პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის სახელოვან იუბილეს. ჩვენ კარგად ვიცით და დიდად ვაფასებთ თქვენს დამსახურებას ბოტანიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. მისაბაძია თქვენი 30-წლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა საკავშირო ბოტანიკურ საზოგადოებაში, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური განყოფილების — საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების მეთაურისა. გისურვებთ, ძვირფასო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი აკადემიკოსი **ა. ტახტაჯიანი**; პრეზიდიუმის სწავლული მდივანი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ვ. ალექსეევი**; პრეზიდიუმის მდივანი **ო. მიკრიუკოვა**. იუბილარს მიესალმებიან აგრეთვე საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი აკადემიკოსი **ე. ლავრენკო** და სხვები.

# თეორიული კონფერენცია

**სკკპ** ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა თეორიული კონფერენცია პრობლემებზე, რომლებიც წამოყენებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიაში „ისტორიული მიჯნა კომუნიზმის გზაზე“. იგი რესპუბლიკის დედაქალაქის იდეოლოგიური აქტივისათვის მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის ზრდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კანონია“ გააკეთა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. მერკვილაძემ. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. ქობალიამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა განვითარებულ სოციალიზმზე როგორც კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების კანონზომიერ ეტაპზე. „საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა“ — ასეთი იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. ასათიანის გამოსვლის თემა. (საქინფორმი).

*გ[illegible]გი გიგაური*

# ენგურის ექო

□

## გაიგეთ მთებო!

მთებო,
კაშხალი დაგიდგათ გვერდით,
ვიწროში ვეღარ გასტია წელი,
მასაც თქვენსავით ძლიერი მკერდი
და ღვთაებრივი სიმაღლე შვენის.

აკვანს უმზადებს ენგურის ზვირთებს,
ენგური უკვე მისი ტყვე არი
და ზღვად იქცევა მდინარე ვიდრე,
კლდიან ხეობას იკლებს ღრიალით...

გაიგეთ მთებო,
მოდის სინათლე, —
საჯიხვეებში უკუნეთს წაშლის
და აცხადდება რასაც ინატრებს
ადამიანის გული და აზრი...

და ჩვენც სხვაგვარი სიმღერა გვმართებს,
დიდი ვალია შენზე და ჩემზე,
ლექსი, რომელიც სიმშვიდეს მართმევს,
ბროლის ზოდივით მაწვება მხრებზე.

მრავალჟამიერ ამ განთიადებს,
დღეს,
საუკუნის სავალს რომ კეცავს,
გვიღიმის ზეცა მეცხრე, მეათე,
შორს მოვიტოვეთ მეშვიდე ზეცა.

□

## ენგურჰესის დილა

მშენებლობის უფროსს მიხეილ ცისკარიშვილს

დილამ ასწია სასმისი,
დალოცა მიწა მბორგავი,
კლდეებს ეკვეთა ძმა ძმისთვის
სიცოცხლე დაუზოგავი.

ფხა გამოიღო ბიჭების
შემართებამ და სიკეთემ,
გულებში შემოიჭერით,
სულებში ბუდეს იკეთებთ

ცისკარიშვილო, ხურვილი
მოგდევს გალეწო მზის კალო
და შხარას ოქროწურვილი
ენგური გააცისკარო.

ჭალა აქციო ედემად,
ნისლმა რომ ბევრჯერ შეფერა;
მრავალჟამიც დაებედება
მამულს ვაჟკაცი შენფერა

სიმღერა თუშის მეცხვარის
მოგძახის თორღვას წყაროდან
და გულგვრილა მერცხალი
შენთვის რომ ნიავქარობდა.

მთებში დაგეძებს არწივი,
ჩანჩქერი დაუმუნჯები,
ქალის წარბივით გზაწვრილი,
ომალოს ციხე-ბურჯები.

გეძებენ ალაზნელები,
ახალუხები ალვანის,
ილტო განთქმული მშვენებით,
ქარში გაშლილი დალალი...

მთა შენი სულის ხატება
მზემ ცეცხლისფერად შეფერა
მრავალჟამიც დაებედება
მამულს ვაჟკაცი შენფერა

**ახალი ლექსები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა და გამოყენება —ყურადღების ცენტრში!**

# ...რომ დარჩეს მუდამ გაუხუნარი

## პრობლემები და პერსპექტივები

**ნარიყალას** ციხის ქონგურები მარად გაუხუნარ ქობასავით შემოვლებია სოლოლაკის ქედს, რომლის თხემიდან ზომზირალი ქართლის დედა თითქოს ყოველდღიურად შეგვახსენებს — მოყვარეს მოყვრულად დაუხვდი, მტერს კი ნუ დაეჩაგვრინებით. ოდესღაც ლაღად ფრთაგაშლილ, აწ ჟამთა სიავისაგან შემუსვრილ ნარიყალას მხრებზე წარსულ საუკუნეთა ძნელბედობის ტვირთი ამძიმებს, ელგუჯა ამაშუკელის „ქართლის დედა“ კი ყმაწვილია, ჯერ ოცი წლისაც არ შესრულებულა, თუმცაღა მასში განსხეულებული სიმბოლური აზრი და შინაარსი ყოველგვარ ქართულზე უხნესია. თუმცა ორივენი უტყვად დგანან, დუმან და არც რას უბნობენ, მაინც მრავალ მჭევრმეტყველზე მჭევრმეტყველია მათი დუმილი, ამ დუმილით ნათქვამი ისტორიული ჭეშმარიტება კი ყოველ ჩვენგანს გულის ფიცარზე აწერია: აქ, ამ არემარეში, სადაც დღეს მხრებგაშლილი და გალაღებული თბილისი XX საუკუნის ბოლო მეოთხედის უმძაფრეს რიტმებს უწყობს თავის მძლავრ მაჯისცემას, მრავალთა საუკუნეთა მანძილზე ქართველი დედა აკვანზე ნანას დამღეროდა, დღესაც მღერის და კვლავაც არ მოეშლება ტკბილი სიმღერა, რომ ისტორიული ძნელბედობის ქარტეხილებთან შეურიგალი ჩვენი ხალხი აქაც ქმნიდა თავის დიდ კულტურას, დღესაც ქმნის და კვლავაც არ ჩამორჩება ახალ საუკუნეთა განახლებისა და აღორძინების რიტმებს.

ამას ღაღადებენ თავისი მეტყველი დუმილით ნარიყალა და „ქართლის დედა“, სიონი და მეტეხი, ანჩისხატი და დარეჯანის სასახლე, ლურჯი მონასტერი. ვინ იცის რაზე მობუტბუტებდა მტკვარი, ქალაქის ძველი უბნები და მამადავითი... თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და ყველა ერთად ჩვენი ხალხის ყოფის, ისტორიის, ჩვენი კულტურის მატიანე და მეტყველი ძეგლია, და რაკი ყოველ ხალხს თავი მოაქვს, და დიახაც უნდა მოჰქონდეს, თავისი კულტურით, ეს იმასაც ნიშნავს, რომ კიდეც უნდა უფრთხილდებოდეს, უვლიდეს და მომავალ თაობებს უნახავდეს ამ ძეგლებს.

როცა ძველ თბილისზე, მის განუმეორებელ კოლორიტზე, მის ძეგლებზე ჩამოვარდება სიტყვა, მეხსიერებაში უმალვე გამოიკვეთება ძველი და ახალი თბილისის ტრუბადურის ი. გრიშაშვილის ცნობილი სტრიქონები — „სიძველისადმი გრძნობა, პატივი, თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს, — მიხვდები, ასე ანდამატივით რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.“.

ამჯერად პოეტური სიტყვა იმისათვის მოვიშველიეთ, რომ უფრო მეტის გამოკვეთილობით გვეთქვა სათქმელი: ის, რაც წინათ, და თუ გნებავთ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ძირითადად მხოლოდ ცალკეულ მოღვაწეთა, ცალკეულ ენთუზიასტთა უანგარო ზრუნვის საგანი იყო, ახლა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის და, რაც მთავარია, ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — კომუნისტური პარტიის სისტემატური ზრუნვისა და ყურადღების საგანი გამხდარა.

მართალია, საბჭოთა სახელმწიფოს უყურადღებოდ, ბედის ანაბარად არასოდეს მიუტოვებია ხალხის წარსული მემკვიდრეობა — ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მაგრამ თითქმის სულ ბოლო დრომდე ამ საქმეში ერთადერთი ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის დადგენილება „კულტურის ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დღეს კი კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს უკვე იურისპრუდენციული საფუძველი შეექმნა: შარშან, 1976 წლის ოქტომბერში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა სახელმწიფო კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რომელსაც წლეულს 1 აპრილიდან თავისი ძალა და უფლებამოსილება მიენიჭა.

ახლა რომ ვთქვათ, ძეგლებს სახელმწიფო კანონი პატრონობსო და ჩვენ კი გულხელი დავიკრიფოთ, ეგ ვერაფერი მამულიშვილობა იქნება. კანონი კანონია, მაგრამ თუ მის დაცვასა და განხორციელებას მთელი ხალხი, მთელი საზოგადოებრიობა, თითოეული ჩვენგანი არ უდგას მხარში, წარმოიდგინეთ, იგი შეიძლება ფარატინა ქაღალდად იქცეს. ფარატინა ქაღალდი კი რისი მაქნისია, ეგეც კარგად მოგეხსენებათ! ზოგჯერ ხდება, ვინმე უგუნური ისტორიულ ძეგლს უდიერად ეპყრობა, ზოგჯერ აშკარა, გამიზნულ მტრობას იჩენს — აზიანებს, ანგრევს (სამწუხაროდ, ყოფილა ასეთი ფაქტები!). ხშირად ამის მოწმე მავანი და მავანი კაცი თვალს არიდებს: რა ჩემი საქმეა, პასუხს კანონი აგებინებსო; მავანი კი პანიკას ეძლევა: აი, ხომ ხედავთ, როგორ ბედის ანაბარად აქვს მიგდებული სახელმწიფოს, ხელისუფლებას, ჩვენი ეროვნული კულტურის საუნჯე! დიახ, პანიკიორობს და უმისამართო (ამიტომაც უსარგებლო) განგაშს ტეხს იმის მაგივრად, რომ მივიდეს, იმ უგუნურს სიკეთისათვის დახშულ ყურებში ხელი ჩაავლოს, ის უგუნური თავი იმ კედელზე მიაჩეჩქუნებინოს და ბრიყვულ სიფათში მიახალოს: შე ოხერო და მუდრეგო, რომ ანგრევ, ნათლიაშენის აშენებული ხუხულა ხომ არ გგონია?!..

• • •

**ისტორიისა** და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების თაობაზე სახელმწიფო კანონის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ **მასში გამოხატულია ხალხის ისტორიული მემკვიდრეობისადმი სოციალისტური სახელმწიფოს დამოკიდებულების ლენინური პრინციპები**, და რომ იგი დაფუძნებულია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის უახლეს მეცნიერულ კონცეფციებზე.

როგორ განსაზღვრავს ეს კანონი ძეგლის ცნებას? რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვლაპარაკობთ ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე? კანონის მე-5 მუხლში მითითებულია, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, კერძოდ, განეკუთვნება **„არქიტექტურული ანსამბლები და კომპლექსები, ისტორიული ცენტრები, უბნები, მოედნები, ქუჩები, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ძველი დაგეგმარებისა და განაშენიანების ნაშთები, საოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, საკულტო არქიტექტურის, ხალხური ხუროთმოძღვრების ნაგებობანი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი, ბაღ-პარკის ხელოვნების ნაწარმოებები, ბუნებრივი ლანდშაფტები“** (ამავე მუხლში განსაზღვრულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კიდევ ბევრი სხვა სახეობა, მაგრამ ჩვენი დღევანდელი საუბარი მხოლოდ ამ ნაწილით შემოიფარგლება).

როგორც ხედავთ, კანონმდებელი იმას აკანონებს, რომ კულტურის ძეგლის ცნება უაღრესად ფართო შინაარსის შემცველია, **რომ ხალხის მთელი ისტორიული მემკვიდრეობა ხელშეუხები ძეგლია, რომლის ხელის შეხება მხოლოდ მისი დაცვისა და განახლების მიზნით შეიძლება**, ე. ი. ძეგლი, ვთქვათ, მარტო სვეტიცხოველი, სამთავრო ან ჯვარი კი არ არის, არამედ მთელი მცხეთა (ამიტომაც არის გამოცხადებული იგი ქალაქ მუზეუმად!); ე. ი. ძეგლი მარტო ანჩისხატი, ნარიყალა და მეტეხი კი არ არის, არამედ, ვთქვათ, ვერცხლის ქუჩა, სიონის მიმდებარე მთელი უბანი, ანდა ის ბუნებრივი ლანდშაფტი, სადაც ნარიყალაა ჩახატულ-ჩაწერილი...

ვისაც უნახავს და ნანახს მთელის გულისყურით მოჰკიდებია, იმას ცხოვრების მუდმივ შთაბეჭდილებად გაჰყვება ჩვენი დედაქალაქის დიდი ტრფიალის ელენე ახვლედიანის ფერწერული პოემა „თბილისი“, რომლის შექმნაზე მხატვარი 20-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, მთელი სიცოცხლე მუშაობდა. ერთ-ერთი ფერწერული ტილო „უკანასკნელი მოჰიკანი“ ჩვენი საუკუნის შუახანების (1965 წ.) შედევრია. ამ სევდიან ფერწერულ ტილოს რომ უჭვრეტ, არც თუ ისე შორეული პერიოდის სულისკვეთება გახსენდება, როცა ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ჩვენი დედაქალაქის ისტორიის დაცვას, როცა, სამწუხაროდ, ძველი თბილისის ცნებაში, უმეტესწილად მხოლოდ წარსულისათვის ჩასაბარებელი და პირისაგან მიწისა აღსაგველი იგულისხმებოდა. ზოგიერთი ძველი შეცდომის განგებ მუქი ფერებით წარმოსახვა მიზნად არ დაგვისახავს, მაგრამ, ხომ ცნობილია, რომ 60-იანი წლების ბოლოს შემუშავებული ერთი საპროექტო წინადადება ვერცხლის ქუჩის მიმდებარე ვრცელი უბნის (ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩებს შორის) მთლიანად მონგრევას და ამ უბნის ტიპიური რვასართულიანი სახლებით მოშენებას ითვალისწინებდა?!.

**ცხადია, ელენე ახვლედიანი ძველი თბილისის სურათებს იმისთვის როდი ხატავდა, რომ მომავალი თაობებისათვის ფერწერით შემოენახა დედაქალაქის კოლორიტული სახება. მისი უპირველესი მიზანი ის იყო, თვით ორიგინალს გავფრთხილებოდით და წარსულის ფერფლად არ გვექცია.** აბა, თქვით, რაოდენი ბარბაროსობა იქნება, მშობლიური თბილისის სიყვარულით გულანთებული მხატვრის ფერწერული პოემის „თბილისის“ განადგურება რომ ვინმემ განიზრახოს!.. ახლა ისიც თქვით, განა ნაკლებ უგუნურებად ჩაითვლებოდა განუკითხავი ხელაღებით მოსპობა ყოველივე იმისა, რაც ამ შედევრების შექმნის დროს მხატვარს შთაგონების წყაროდ ესახებოდა?!.

**რა ბედი ელის ძველ თბილისს?** — ეს კითხვა კარგა ხანია აფიქრებს და აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას — ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, ეთნოგრაფებსა და ხუროთმოძღვრებს, მხატვრებსა და მწერლებს, ჩვენი კულტურის ბედით დაინტერესებულ ყოველ ადამიანს. სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ბევრი საყურადღებო წერილი და სტატია, გამოითქვა ბევრი საყურადღებო, მისაღები და გასათვალისწინებელი მოსაზრება, წინადადება.

საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თბილისის ძველ უბნებში ყველა ნაგებობა ერთნაირად ფასეული როდია, უფრო მეტიც, შენობათა დიდ ნაწილს არა აქვს დამოუკიდებელი მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უბნის კომპლექსს, რომელიც გადმოგვცემს ძველი განაშენიანების ხასიათს, ძველი ქალაქის „სულს“, ამიტომ აქ საჭიროა განაშენიანების ერთიანად შენარჩუნება, ამ უბნის ნაკრძალად გამოცხადება...

თბილისი იმ ბედნიერ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც წარსულიც უმდიდრესი აქვთ, აწმყოც და მომავალიც. ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჰარმონიული თანხმობა, შევუნარჩუნოთ თბილისს თბილისობა! ეს ჩვენი მოვალეობაა!

**წლების მანძილზე საკითხი თანდათან მომწიფდა, ჩამოყალიბდა, დაიხვეწა, მაგრამ მისი რეალური, მეცნიერული გადაჭრის გზები და პერსპექტივები მას შემდეგ დაისახა, რაც ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემას ბოლო წლებში სათანადო ყურადღება დაუთმეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.**

უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანოების რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი. ასეთია, მაგალითად, გადაწყვეტილება თელავის, სიღნაღის, მცხეთის, მესტიის არქიტექტურული კომპლექსების მოვლა-პატრონობისა და აღდგენარეკონსტრუქციის თაობაზე. **საკითხის მეცნიერულ დონეზე დასმისა და მისი გადაწყვეტისათვის სათანადო პირობების მოსამზადებლად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ 1975 წლის მარტში მიღებულ საგანგებო დადგენილებას,** რომლის ძალითაც თბილისის ძველი ისტორიული უბნები სახელმწიფო დაცვის ზონად, თავისებურ ნაკრძალად არის გამოცხადებული.

ამ დადგენილებაში — „თბილისის ისტორიულ ნაწილს — სახელმწიფო ზრუნვა“, კერძოდ, ნათქვამია: „იმ მიზნით, რომ დავიცვათ ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ისტორიული, არქიტექტურული, ქალაქთსამშენებლო და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება, რომ სახელმწიფო დაცვის ზონად გამოცხადდეს თბილისის ისტორიული ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით“.

**როცა** თბილისის ისტორიულ ნაწილზე, ძველ უბნებზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია ასეთ კითხვაც: **დღევანდელი ქალაქის რა ნაწილი ეკუთვნის ამ ცნებაში ნაგულისხმევ ტერიტორიას?** ცხადია, უწინარეს ყოვლისა აქ იგულისხმება უძველესი ქალაქის ძირითადი ბირთვი, საკუთრივ თბილისი ანუ კალა, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში კედლით იყო შემოზღუდული.

თბილისის ისტორიული ნაწილის შესწავლის აზრით გარკვეული სამუშაო სწარმოებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. აქ, კერძოდ, თანამედროვე გეგმარებზე იქნა დატანილი თბილისის გეგმა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე (თემის ხელმძღვანელი არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი თ. კვირკველია).

მაშინდელი ქალაქის გეგმის თანამედროვე გეგმარებასთან თავსების სქემის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ თავდაპირველად, შემონახული გეგმების, რუკებისა და წერილობითი წყაროების მეშვეობით აღდგენილ იქნა ძველი თბილისის დაგეგმარების სქემა. საყრდენ მასალად წარმოადგენდა ჩუიკოს მიერ შედგენილი 1800 წლის, აგრეთვე 1802 წლის გეგმები. ვახუშტი ბატონიშვილის რუკასთან (1735 წ.) ამ გეგმების შედარებისას ცხადი ხდება, რომ ქალაქის ტერიტორიულ სტრუქტურას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძირფესვიანი ცვლილებები არ განუცდია. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროექტო ბიუროს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა ფაქტიურად ასახავს ქალაქის გეგმარებას XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც.

**როგორი იყო მაშინდელი კალას ტერიტორია ახლანდელი ორიენტირებით?** კალას სამხრეთი გალავანი იწყებოდა ქალაქის ციტადელიდან (დღევანდელი ნარიყალა), გასდევდა სოლოლაკის ქედის თხემს (ამჟამინდელი კომკავშირის ხეივნის მიმართულებით) და მთავრდებოდა ბასტიონით, რომელსაც ვახუშტი შაჰის ტახტს უწოდებს (მისი ნანგრევები დღესაც შემორჩენილა). აქედან კედელი დამრეცად უხვევდა დასავლეთით და ჩრდილოეთისაკენ, დღევანდელი დადიანისა და პუშკინის ქუჩების გასწვრივ მიემართებოდა ბარათაშვილის ქუჩის კუთხემდე, აქედან კი მიუყვებოდა ავან-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ...რომ დარჩეს მუდამ გაუხუნარი

### პრობლემები და პერსპექტივები

(დასასრული)

ხევის მარჯვენა ნაპირს, ანუ ამჟამინდელი ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებას და ჩადიოდა მტკვრის ნაპირამდე ბარათაშვილის ხიდთან. შემდეგ კედელი მტკვრის მიმართულებას მიჰყვებოდა, ე. ი. სამხრეთისაკენ ბრუნდებოდა და თავდებოდა ე. წ. თათრის მოედანზე. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი ნარიყალას ციხიდან იწყებოდა, წავკისის ანუ დაბახანის წყლის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და მტკვრამდე აღწევდა, შემდეგ კი მცირე მონაკვეთით მტკვრის გასწვრივ უხვევდა მეტეხის ხიდამდე.

ახლა თითქმის დადგენილად ითვლება, რომ **თბილსის ამ ტერიტორიაზე (კალა) განაშენიანების ძველმა გეგმარებითმა სტრუქტურამ, ქუჩების უწინდელმა ქსელმა დღემდე მოაღწია.** ძველი გეგმარება ძირითადად შემონახულია ვერცხლის ქუჩის ზედა მონაკვეთს, პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე და ვრცელ უბანში, რომელიც შემოფარგლულია ლესელიძის (მთელ სიგრძეზე) და ლერმონტოვის ქუჩებით.

ძველად გალავანშემოვლებულ კალაზე ასე ფართოდ რომ შევჩერდით, რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თბილისის სხვა რაიონებში ისტორიულობის აზრით ღირებული და საინტერესო არაფერი შემონახულიყოს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია **მტკვრის მარცხენა სანაპიროს მეტეხთან მიმდებარე ტერიტორია, ავლაბარი, ან ძველი ისანი, რომელიც ახლანდელი შაუმიანის ქუჩის დასაწყისსა და მტკვრისაკენ ვერტიკალურად ჩაჭრილ მეტეხის კლდეს შორის იყო მოქცეული.** მართალია, ბარათაშვილის აღმართის საყრდენმა ბეტონის კედელმა შეიწირა ისნის ძველი გალავნის შემორჩენილი ნაშთები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ უბნის განაშენიანებაში დღესაც ძველი დომინანტია გამეფებული. სხვა რომ არა იყოს რა, ქალაქის ამ ნაწილისათვის მარტო კლდის ქიმზე წამომართული მეტეხის ეკლესია და ძველი ბასტიონის ნანგრევებიც საკმარისია, რომ ისიც თბილისის თავისებურ ნაკრძალ ზონად მივიჩნიოთ.

ამას გარდა თბილისის სხვადასხვა ნაწილში (და თითქმის ყველა რაიონში) შემონახულია შენობათა ჯგუფები, ცალკეული ნაგებობანი და ნანგრევები, რომლებსაც დროზე უნდა მივეშველოთ, ვუმკურნალოთ და დავიცვათ როგორც ქალაქის ისტორიის ცალკეული ცოცხალი ექსპონატები.

რა თქმა უნდა, ჯერ-ჯერობით ბევრი რამ გასაკეთებელია, ბევრი თბილისური უბანი მოთმინებით ელის არქიტექტორისა და მხატვრის, მშენებლისა და რესტავრატორის ყურადღებას, მაგრამ უმადურობა იქნებოდა იმის დაუფასაობა, რაც უკვე კეთდება, რაც უკვე მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა.

თბილისის ბევრ უბანს დაეტყო ქალაქის მესვეურთა მზრუნველი ხელი, და რაც მთავარია, ამ საქმეში მოიშალა სტიქიურობა, დილეტანტურობა, საქმის უცოდინრად, ისტორიულ ფესვებში ჩაუხედავად, მხატვრული ამოცანის გადაუწყვეტლად რაიმეს კეთება.

აქ ნათქვამი რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამის ბეჭედია **განახლებული კოლმეურნის მოედანი თავისი მიწისქვეშა სახაზლო გადასასვლელით, და რაც მთავარია, ბარათაშვილის ქუჩის ერთი ნაწილის რეკონსტრუქცია, ამ ნაწილში მდებარე ქალაქის ძველი გალავნისა და საცხოვრებელი სახლების რესტავრაცია, ქართული ღვინის მშვენიერი სადეგუსტაციო დარბაზის „საჭაშნიკეს“ და თამბაქოს საფირმო მაღაზიის გაწყობა** (უკვე შეიძლებოდა, აგრეთვე, დაგვესახელებინა ყოფილი რიყის უბნის, მეტეხის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, დარეჯანის სასახლის, გოგილოს აბანოს აღდგენა-განახლება და სხვ.).

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის, საცხოვრებელი სახლების რესტავრაციისა და მიწისქვეშა გადასასვლელის პროექტი, რომლის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი შ. ყავლაშვილი, დამუშავდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილქალაქპროექტში“. სამუშაოები განახორციელეს: ქუჩისა და სახლების რესტავრაციისა — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო ტრესტებმა, ხოლო მიწისქვეშა გადასასვლელისა — სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო ტრესტმა „კავკასელექტროქსელმშენმა“.

მიწისქვეშა გადასასვლელები ჩვენს დედაქალაქში ახალი ხილი აღარ არის, არც ძველი ხუროთმოძღვრების ცალკეული მონუმენტური ძეგლების სარესტავრაციოდ აღმართული ხარაჩოები უკვირს ვინმეს, მაგრამ **ბარათაშვილის ქუჩის ამ ერთი ნაწილის აღდგენა-რეკონსტრუქციამ საოცარი ეფექტი მოახდინა, ყველა დააინტერესა, ყველა აალაპარაკა, ყველას ყურადღება მიიპყრო.** როცა მრავალგზის ნათქვამმა სიტყვამ, მხატვარ-არქიტექტორთა ნაფიქრალ-ნააზრევმა პრაქტიკულად ხორცი შეისხა და თვალთათვის სახილველი შექმნა, ერთბაშად ცხადი გახდა თბილისის ძველი უბნების რესტავრაციის რეალურობა, აუცილებლობა და საჭიროება. საქმემ შენმან გამოგაჩინოსო! — უთქვამთ ძველებს, და აკი გამოაჩინა კიდეც. სწორედ რომ საქმემ და არა მარტოოდენ სიტყვამ!..

არქიტექტორი შ. ყავლაშვილი აგერ უკვე თითქმის ოცი წელია ბარათაშვილის ქუჩის მიდამოებს უტრიალებს. თავიდან კი ყველაფერი ბარათაშვილის (ყოფილი მუხრანის) ხიდის მშენებლობით დაიწყო: ახალი, ფრიად ორიგინალური ხიდის პროექტის ავტორები იყვნენ ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. ქარცივაძე, შ. ყავლაშვილი და ახალგაზრდა არქიტექტორი ვლ. ქურთიშვილი... შემდეგ, ფიქრი ბარათაშვილის ქუჩის გაფართოება-რეკონსტრუქციაზე, ბევრი იდეა, წინადადება, გეგმა და მონახაზი, ბევრი თეთრად გათენებული ღამე, ზოგჯერ შეხლა-შემოხლა, ზოგჯერ იმედგაცრუებაც, მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა არა და არა! საქმის სიყვარულმა, ცოდნამ, გამოცდილებამ, ენთუზიაზმმა, თანამოაზრეთა მხარდამხარ უანგარო მუშაობამ თავისი გაიტანა და იმ პრაქტიკულ შედეგამდე მიგვიყვანა, რასაც დღეს თვალით ვჭვრეტთ და ძველის განახლების მშვენიერებით ვტკბებით...

არქიტექტორი შ. ყავლაშვილი ახლა „თბილქალაქპროექტის“ მეოთხე არქიტექტურულ სახელოსნოს ხელმძღვანელობს და, რომ იტყვიან, მისი სული და გულია. აქ რომ მოხვდებით, მასპინძლები ძველი თბილისის აღდგენა-განახლების ბევრ საყურადღებო წინადადებასა და იდეას გაგაცნობენ, გეგმებსა და სქემებს, ჩანახატებსა და მაკეტებს გიჩვენებენ, ბევრ საინტერესო ჩანაფიქრს, მოსაზრებას და პრობლემას გაგიზიარებენ.

— ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი და ვარ, — ამბობს შ. ყავლაშვილი, — რომ მომავალში აღდგენილი ძველი ისტორიული უბნები ახალი თანამედროვე თბილისის ორგანული, მოქმედი, სიცოცხლით სავსე შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და არა მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატი...

თბილისში თანამედროვე კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი ძველ ქალაქს არ ემთხვევა, როგორც ეს არის, მაგალითად, მოსკოვში, ტალინში ან ვილნიუსში. ეს გარკვეული აზრით აადვილებს ძველი ქალაქის ისტორიული ნაწილის შენარჩუნებას თავისი ვიწრო ქუჩებით და მცირე მასშტაბის მქონე განაშენიანებით...

უნდა ითქვას, რომ ბოლო დრომდე მთელი სიმწვავით და პრინციპულობით არ დამდგარა პრაქტიკული ამოცანა ქალაქის ძველი, ისტორიული და ახალი ნაწილების ურთიერთკავშირისა და ამასთან დაკავშირებით საკმაოდ რთული ხუროთმოძღვრული და საინჟინრო საკითხების კომპლექსური გადაწყვეტისა. მართალია, თბილისის გენერალური გეგმის ახალ პროექტში ეს საკითხები სათანადოდ არის ასახული, მაგრამ გენერალური გეგმა ამოცანას მაინც ზოგადი სახით სვამს, რაც შემდეგ კონკრეტულად უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს.

**სადირექტივო** ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე 1975 წლის ივნისში „თბილქალაქპროექტში“ ჩამოყალიბდა ცალკე არქიტექტურული სახელოსნო (ხელმძღვანელი გ. ჯაფარიძე), რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის საკითხებით არის დასაქმებული. თავდაპირველად მცირერიცხოვანი, იგი სადღეისოდ საკმაოდ ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივია, რომელსაც ურთულესი საპროექტო ამოცანების გადაწყვეტა ხელეწიფება. აქ დამუშავებულია რამდენიმე საყურადღებო იდეა და წინადადება, შედგენილია ძველი თბილისის ცალკეული უბნების აღდგენა-განახლების საყურადღებო პროექტები, მაგრამ სავალალოდ, საინტერესო პროექტი პროექტად რჩება. ჯერჯერობით არც დამკვეთი ჩანს და, რაც მთავარია, არც სამუშაოს პრაქტიკული შემსრულებელი, დაფინანსებასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე რომ არაფერი ვილაპარაკოთ...

როდესაც ჩვენი დედაქალაქის ისტორიული ნაწილის აღდგენა-განახლების საკითხებზე ამ საქმის სპეციალისტებთან საუბრობ, ბევრი პრობლემა და აუცილებლად გადასაჭრელი საკითხი დგება დღის წესრიგში. სპეციალისტები სამართლიანად ფიქრობენ, რომ ძველი თბილისის რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოებს წინ უნდა უძღოდეს კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. პროექტანტებს უნდა ჰქონდეთ მეცნიერულად დამუშავებული წანამძღვრები, ეს მარტო ძეგლების ფიქსაცია კი არ არის, არამედ სპეციალური მიზნით ჩატარებული მათი ანალიზიც.

ძეგლების შესწავლა საჭიროა როგორც ხელოვნებათმცოდნეობის, ისე მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ დიდი სამსახური შეუძლიათ გაუწიონ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა და ტოპოგრაფიული ... რომ ენიჭებული პროექტირების თბილისის სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო ინსტიტუტმა, რომელთა ერთობლივი მუშაობით შეიძლება გამომუშავდეს ძველი თბილისის რეკონსტრუქციის მეცნიერული საფუძვლები და მეთოდური მითითებანი. მათ კომპეტენციაში უნდა შედიოდეს ისეთი საკითხების დამუშავება, როგორიც არის კულტურის ძეგლების ირგვლივ ხელშეუხებელი ზონათა დადგენა და მათ მახლობლად მშენებლობის მკაცრი რეგლამენტაციის წესების გამომუშავება, ძეგლების თანამედროვე მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობათა გარკვევის დადგენა, მათი ტექნიკური მდგომარეობისა და საინჟინრო აღჭურვილობის საკითხების შესწავლა, სათანადო რეკომენდაციათა გამომუშავება და სხვ.

სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ძველი თბილისის რეკონსტრუქციისას უნდა ჩატარდეს, მეტად სპეციფიკური იქნება და ცოტა რამ ექნება საერთო თანამედროვე მშენებლობის წარმოების ინდუსტრიულ მეთოდებთან. აქ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ საჭიროა აუცილებლად ის ხერხებით ვაშენოთ, როგორც ჩვენი წინაპრები აშენებდნენ. განსხვავება დიდი იქნება თუნდაც მშენებელი ოსტატების და ხელოსანთა საჭირო რაოდენობის მხრივ. ძნელია წინასწარ გათვალისწინება ყველა იმ თავისებურების, რომელთანაც გვექნება საქმე, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მშენებლობის ტემპებიცა და სამუშაოთა ხასიათიც განსხვავებული იქნება. ამიტომ შეიძლება დადგეს საკითხი სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც სათანადო გამოცდილებასაც შეიძენს მუშაობის პროცესში და დღეს უკვე დეფიციტური სპეციალისტების მშენებელთა კადრებსაც თავს მოუყრის.

**ჩ**ვენს რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვისათვის სახელმწიფო ზრუნვის ახალი საუკეთესო გამოხატულებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება **„რესპუბლიკაში კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“**, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა პრესაში.

ამ დოკუმენტში სათანადოდ არის შეფასებული ამ მიმართულებით ჩატარებული საქმიანობა, აღნიშნულია სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები და დასახულია ღონისძიებათა მთელი **კომპლექსი, რომელთა განხორციელებამ საგრძნობლად უნდა შეუწყოს ხელი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების შემდგომ გაუმჯობესებას, ამ საკითხების დაინტერესებული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციას და მეცნიერულ საფუძველზე წარმართვას.**

სახელმწიფო კანონს დიდი ძალა აქვს, სადირექტივო ორგანოების დადგენილებაც მუშაობის საიმედო ორიენტირია, სამსახურეობრივი მოვალეობის შეგნება და კისრებულ საქმის გამო პასუხისმგებლობა აუცილებელია, **მაგრამ საერთო-სახალხო-საზოგადოებრივ ზრუნვას თუ საკუთარი გულის ნაწილი არ ჩააყოლე, მოულოდნელი უანგარობა თუ არ იწინამძღვრე, ისე დიდხანს და საპირო ხაზის თავი არ დადგება.** ამ გრძნობით, ამ შეგნებით უნდა იღვწოდეს ყველა, ვისაც დიდი სახელმწიფოებრივი საქმისათვის — ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-გამოყენების ზრუნვა და ყურადღება აკისრია, რათა ხალხის, მომავალი თაობის წინაშე პირნათელი იყოს და საკუთარ თავთანაც გულმართალი.

**ლერი კიკნაძე.**



ფოტოებზე: აღდგენილი და განახლებული ძველი საცხოვრებელი სახლები ბარათაშვილის ქუჩაზე (ზე-); თბილისის ძველი უბანი მეტეხთან.

ა. ხააკოვისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ხ. კილაძის („კომუნისტი“) ფოტო.



საქდესი

## მსოფლიოს ამბები

### ბრატისლავა—თბილისი

## მეცნიერთა თანამშრომლობა

**ბრატისლავა. (საკდეხი). ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ძმურ მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაში, რომელიც სულ უფრო ფართოვდება, თავიანთი წვლილი შეაქვთ სლოვაკიისა და საქართველოს მეცნიერებს.** სლოვაკიისა და საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობისადმი მიძღვნილ სტატიაში სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „პრავდა“ მაღალ შეფასებას აძლევს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ერთობლივ საქმიანობას სლოვაკიასა და საქართველოში. სლოვაკ და ქართველ მკვლევართა საერთო მუშაობის მიზანია მავნებლებისაგან ტყეების დაცვის, მერქნის დამზადებისა და დამუშავების, მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების და დასავლეთი კარპატებისა და კავკასიის გეოლოგიური აგებულების შესწავლის ამოცანების გადაჭრა.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, სლოვაკიისა და საქართველოს მეცნიერ მუშაკთა ამ ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება სარგებლობას მოუტანს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს და ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის განმტკიცებას.

### ახლო აღმოსავლეთი

## სეპარატული გარიგების გზით

**თელ-ავივსა** და კაიროს შორის გრძელდება სეპარატული გარიგების დადებისათვის მზადება. თელ-ავივში დაბრუნდა ისრაელის თავდაცვის მინისტრი ვეიცმანი, რომელიც ეგვიპტეში ყოფნის დროს ორჯერ მიიღო პრეზიდენტმა სადათმა. მას მრავალი საათის მოლაპარაკება ჰქონდა აგრეთვე სამხედრო მინისტრთან ალ-გამასისთან. როგორც კაიროს გაზეთები იუწყებიან, უახლოეს დღეებში ვეიცმანი კიდევ ერთხელ ეწვევა ეგვიპტეს, რათა მოამზადოს ბეგინის შეხვედრა სადათთან.

ისრაელის მინისტრის მიერ კორესპონდენტებისათვის გაცემული პასუხებიდან ჩანს, რომ მისი მოლაპარაკება სადათთან და ალ-გამასისთან გამოიხატებოდა ოკუპირებული სინის ნახევარკუნძულზე ისრაელის „უშიშროების პრობლემების“ განხილვით. დასავლეთის პრესა აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში შეეხნენ ღაზის სექტორის საკითხს, რაფანსა და შარმ-აშ-შეიხს. თელ-ავივს განზრახული აქვს შეინარჩუნოს ეს სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ტერიტორიები, შესაძლოა ეგვიპტისაგან ხანგრძლივი ვადით „იჯარის“ სახით.

დასავლეთის პრესა ვეიცმანის ვიზიტს აფასებს როგორც მორიგ ნაბიჯს ეგვიპტესა და ისრაელს შორის სეპარატული შეთანხმების დადების გზაზე.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, რომელიც კაიროს შეხვედრის მონაწილეებთან დაახლოებულ წრეებს იმოწმებს, ბეგინს განზრახული აქვს ხელი მოაწეროს სადათთან „დეკლარაციას ახლო აღმოსავლეთში მოწესრიგების პრინციპების შესახებ“, რომელსაც, შესაძლებელია, შეუერთდეს ამერიკის შეერთებული შტატებიც. ეგვიპტე თავის მხრივ ცდილობს ისე დაგვიხატოს საქმე, თითქოს იგი ამჟამადასრულებს მთელ „შავ სამუშაოს“, უთანხმდება თელ-ავივს მოწესრიგების ძირითადი პრინციპების შესახებ, არაბთა სხვა ლიდერებს კი მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ განიხილონ ისრაელთან „დეტალები“ თავიანთი ქვეყნებისადმი შეფარდებით. არ არის გამორიცხული, რომ თელ-ავივი და კაირო შემოიტანენ წინადადებას ჟენევის კონფერენციაზე, რომ მან მოიწონოს ახლო „აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების პრინციპების დეკლარაცია“, რომელიც მათ შეიმუშავეს, რათა მიაღწიონ ამ სეპარატული გარიგების ლეგალიზაციას, ხოლო თუ სხვა არაბული ქვეყნები უარყოფენ ამ წინადადებას და უარს იტყვიან წავიდნენ ჟენევის ასეთ კონფერენციაზე, ამ გარიგების მონაწილენი შეეცდებიან მიაკერონ მათ „მშვიდობიანი მოწესრიგების მოწინააღმდეგეთა“ იარლიყი. (საკდესი).

### პაკისტანი

## სამხედრო ადმინისტრაციის გეგმები

**ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურმა გენერალმა ზია-ულ-ჰაკმა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სამხედრო რეჟიმი 1978 წლის განმავლობაშიც დარჩება ხელისუფლების სათავეში.**

## დასავლეთ საჰარის ამბების გამო

**პარიზი. (საკდესი). გაზეთმა „მონდმა“ დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის სამხედრო ავიაციამ დაბომბა პოლისარიოს მებრძოლთა კოლონა, რომელიც მხარს უჭერს დასავლეთ საჰარის თვითგამორკვევას.** „პარიზში მიღებული ცნობების თანახმად, — წერს გაზეთი, — საფრანგეთის ავიაციის ეს მოქმედება ნამდვილია“.

## „ტიგრისი“ გზას განაგრძობს

მანამა, (ბაჰრეინი). 24 დეკემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. სენკევიჩი გვატყობინებს: მანამაში იძულებითი რემონტის შემდეგ ლერწმის ნავი „ტიგრისი“ დღეს სპარსეთის ყურეში გადის და ორმუზის სრუტისაკენ მიემართება. პირველ დღეებში უნდა ავითვისოთ ჰამბურგიდან ჩამოტანილი ახალი აფრა, შევამოწმოთ, როგორ „იქცევა“ ნავი სარემონტო სამუშაოებისა და წყალზე ერთ თვეზე მეტი ხნის ყოფნის შემდეგ. ეკიპაჟის ყველა წევრი ჯანმრთელად არის და ერთი სული აქვთ, როდის გავლენ ზღვაში, ყველა კარგ გუნებაზეა.

გასვლის წინ ექსპედიციის მონაწილეებმა ტურ ჰეიერდალის ხელმძღვანელობით მიიღეს გადაწყვეტილება საკდესის მეშვეობით გაეგზავნათ შემდეგი დეპეშა „სოიუზ-26“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟისათვის:

**ძვირფასო ამხანაგებო! ძალზე გვახარებს, რომ თქვენ ყველაფერი რიგზე გაქვთ. გისურვებთ კეთილ კოსმოსურ მოგზაურობას. გულთბილად მოგესალმებით „ტიგრისის“ ინტერნაციონალური ეკიპაჟის სახელით“.**

## მოსწავლეთა არდადეგები

ბავა რამდენიმე დღეც და ბოლო ზარი მოსწავლეებს ხალისიანი არდადეგების დადგომას ამცნობს, ახლა სკოლის გარეთ გაგრძელდება მათი მჩქეფარე და საინტერესო ცხოვრება.

1977-1978 სასწავლო წლის მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაიწყება **1977 წლის 30 დეკემბრიდან 1978 წლის 10 იანვრამდე (ჩათვლით). მეცადინეობა შეწყდება 1977 წლის 29 დეკემბერს, ხუთშაბათს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 1978 წლის 11 იანვარს, ოთხშაბათს.**

**საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კი ზამთრის არდადეგები მოეწყობა 1977 წლის 31 დეკემბრიდან 1978 წლის 15 იანვრამდე (ჩათვლით). მეცადინეობა შეწყდება 1977 წლის 31 დეკემბერს, შაბათს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 1978 წლის 16 იანვარს, ორშაბათს.**

## გ. კალანდაძე



გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან გიორგი თომას ძე კალანდაძე.

გ. თ. კალანდაძე დაიბადა 1896 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ხიდისთავში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1915 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იგი ჯარშივე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, რისთვისაც ორჯერ დააპატიმრეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა ჭიათურის მანგანუმის სამმართველოს მომმარაგებლად, ქ. თბილისის წითელი პარტიზანისა და წითელი გვარდიელის სახელობის საწარმოო კომიტეტის სექტორის გამგედ, წითელი ჯვრის ქარხნის დირექტორად, „საქკონსერვტრესტის“ თბილისის № 1 თვალსაჩინო მაღაზიის დირექტორად. გ. თ. კალანდაძე მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, დაჯილდოებული იყო მედლებით. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი უანგაროდ ემსახურებოდა პარტიასა და ხალხს.

პარტიის ვეტერანის პრინციპული, გულისხმიერი ადამიანის გიორგი თომას ძე კალანდაძის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი

# ჭადრაკის დაფებთან



## ადგილები ასე განაწილდა

**ლენინგრადში** ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი გადადებული პარტიების დამთავრებისას ალბურტი დანებდა სვეშნიკოვს, ტალმა წააგო პოლუგაევსკისთან, ყაიმზე შეთანხმდნენ გრიგორიანი და კოჩიევი.

ამრიგად, საკავშირო 45-ე ჩემპიონატში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 9,5-9,5 ქულა მოაგროვეს გულკომ და დორფმანმა, 9-9 ქულა — პეტროსიანმა და პოლუგაევსკიმ, 8-8 ქულა ბაგიროვმა, გელერმა და ტალმა, 7,5-7,5 ქულა — კუზმინმა და რომანიშინმა.

ამ ცხრა მოჭადრაკემ გაისისათვის შეინარჩუნა უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლება.

7-7 ქულა მოაგროვეს ბალაშოვმა და სვეშნიკოვმა, 6,5-6,5 ქულა — კოჩიევმა, სმისლოვმა და ტუკმაკოვმა 5,5 ქულა — გრიგორიანმა, 5 ქულა — ალბურტმა.

როგორც ცნობილია, პეტროსიანსა და პოლუგაევსკის, როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელი შეჯიბრების მონაწილეებს, ადრევე ჰქონდათ მომავალ ზონალურ ტურნირში თამაშის უფლება. ეს შეჯიბრება მაისში ლვოვში გაიმართება. საკავშირო ჩემპიონატიდან ლვოვში თამაშის უფლება მოიპოვეს გულკომ, დორფმანმა, ბაგიროვმა, გელერმა, ტალმა, კუზმინმა და რომანიშინმა.

## ლვოვი, ქალთა საკავშირო

**გადადებული** პარტიების დამთავრებამ გაარკვია მონაწილეთა მდგომარეობა სამი დასკვნითი ტურის წინ.

ჩიბურდანიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ფომინასთან, ალექსანდრიამ — ზატულოვსკაიასა და ლევიტინასთან. ახშარუმოვამ დაამარცხა კოლთოარცევა, იოსელიანმა — ლიტინსკაია, ახმილოვსკაიამ ლევიტინა, ზაიცევამ—კისლოვა, მოროზოვამ—კისლოვა, კისლოვამ—ზატულოვსკაია, სემიონოვამ — მაკარიჩევა, ალიოხინასემიონოვას პარტია ყაიმით დასრულდა.

მეთხუთმეტე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩიბურდანიძე-ახშარუმოვას პარტიამ. ახშარუმოვამ სიცილიური დაცვა აირჩია, მაგრამ მდგომარეობის მთლიანად გათანაბრება ვერ შეძლო. ჩიბურდანიძემ უკეთეს პოზიციაში არ მოინდომა ბრძოლის გამწვავება, დაიწყო სვლების განმეორება და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ალექსანდრიამ შავებით სიცილიურ დაცვას მიმართა პიარნპუუსთან. პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში. ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა იოსელიანმა, რომელიც რსფსრ-ს ჩემპიონ ალიოხინას ეთამაშებოდა.

**გუშინ მეთექვსმეტე ტურში ალექსანდრია-ჩიბურდანიძის ცენტრალური პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად ჩიბურდანიძე 12,5 ქულით პირველ ადგილზეა. ალექსანდრიას 11 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.**

**გ. გამრეკელი.**

## პრეტენდენტთა ფინალური

გუშინ ბელგრადში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების მსოფლიოს [illegible] ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის ადრე გადადებული მეათე პარტიის დამთავრება.

კორჩნოიმ მოიგო ეს პარტია და ანგარიში გახდა 7,5:3,5 მის სასარგებლოდ.

მორიგი მეთორმეტე პარტია ხვალისათვის არის დანიშნული.

### კალათბურთი

## მეცხრე ტურის მატჩები

კაუნასის სპორტის სასახლეში გაიმართა პირველი წრის მეცხრე ტურის მატჩები. ამჯერად თბილისის „დინამოს“ მოწინააღმდეგე იყო ტალინის „კალევი“. ამ გუნდებს რვა თამაშის შემდეგ თითოეულს 5-5 ქულა ჰქონდათ. თამაში მეტად დაძაბული გამოდგა და ანგარიშით 79:77 გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკამ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, მან სძლია კაუნასის „ჟალგირისს“ — 100:67 რიგის არმიელებმა ანგარიშით 86:82 დაამარცხეს ვლადივოსტოკის სპარტაკელები, მოსკოვის „დინამომ“ — მინსკის რტი — 101:86, ლენინგრადის „სპარტაკმა“ — კიევის „სტროიტელი“ — 60:51.

გუშინ თბილისის „დინამო“ ეთამაშა კიევის „სტროიტელს“. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 74:69.

## „სპორტლოტო“

**გაცნობებთ** 1977 წლის 24 დეკემბერს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 52-ე ტირაჟის შედეგებს:

**1-ლი ტირაჟი** — 25 (ციგაობა), 1 (კალათბურთი), 17 (ციგურაობა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (ტყვიის სროლა).

**მე-2 ტირაჟი** — 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 36 (შაიბიანი ჰოკეი), 34 (ფეხბურთი), 4 (კრივი), 23 (წყალხტომა). (საკდესი).

### კრივი

## ე. გორსტკოვი—აბსოლუტური ჩემპიონი

ლენინგრადში დამთავრდა მოკრივეთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის 1977 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ასპარეზობაში მონაწილეობდა ქვემძიმე და მძიმე წონის 15 სპორტსმენი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი მძიმეწონოსანი მოკრივეები ევროპისა და საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონი, ორგზის ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ევგენი გორსტკოვი და საბჭოთა კავშირის 1975 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პეტრე ზაევი.

ე. გორსტკოვისა და პ. ზაევის ეს ბრძოლა რინგზე მათი მეშვიდე შეხვედრა იყო. დაძაბულ ბრძოლაში ქულებით (3:2) გაიმარჯვა და მესამედ საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო ტიტული ევგენი გორსტკოვმა მოიპოვა.

### ჰოკეი

## ახალგაზრდულ ნაკრებთა ჩემპიონატი

**კანადაში** დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეისტთა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში თამაშობენ სსრ კავშირის, შვეიცარიის, შვეციისა და ფინეთის ნაკრებები, ხოლო მეორეში — კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. სსრ კავშირის ნაკრებმა გამანადგურებელი ანგარიშით — 18:1 დაამარცხა შვეიცარიელები. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: შვეცია-ფინეთი — 4:4, კანადა-ამერიკის შეერთებული შტატები — 6:3, ჩეხოსლოვაკია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 5:4.

## ტელევიზია

### 25 დეკემბერი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.45 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 12.05 — „საჭადრაკო სკოლა“, 12.25 — „კინოაფიშა“, 12.55 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 13.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 14.00 — პიონერებისათვის — „კოცონი“, 14.40 — „კინოს მოყვარულთათვის“, 15.45 — „რა უნდა ვიცოდეთ თეატრის შესახებ“ (ფერადი. განმეორებით), 16.30 — სატელევიზიო სემინარი, 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 17.30 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფერადი), 19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.15 — „სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე — ნიკო კეცხოველი“, 20.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“. I სერია (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“. II სერია (ფერადი. მოსკოვიდან).

**მეორე პროგრამით**

17.00 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „კოდალას თავი არ სტკივა“ (ქართულ ენაზე), 18.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცოტნე დადიანი“, 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ელვა“ იცვლის მიმართულებას, 19.30 — კონცერტი, 20.20 — მხატვრული ფილმი „შემოდგომა“ (ფერადი).

### 26 დეკემბერი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან, 10.30 — „სტუმრად ზღაპართან“ — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თორმეტი თვე“ I და II სერია (ფერადი მოსკოვიდან), 11.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 17.45 — მოსწავლეთათვის — „საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია“, 18.30 — ბავშვებისათვის „ჯადოსნური საღებავი“ (ფერადი), 19.10 „ მარიამ ორახელაშვილი“, 19.40 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.05 — „როგორ იწრთობა ხასიათი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მხატვრული ფილმი „ასი ლეი“.

## თეატრი

### 25 დეკემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — იოლანტა (დღისით), ერთაქტიანი ბალეტების საღამო (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა (დღისით), სიცრუენი (პრემიერა. საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი (დღისით), კვაჭი კვაჭანტირაძე (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალანი (დღისით), ჩანჩურა (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — გამარჯვების ღიმილი.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.

МУНИСТИ ИНДЕКС 66443 | უე 02413 | საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14